

ლიტერატურული გაზეთი



ბათუ შარელი

ციკლიდან „ARTეკლავი“

სამშობლოს მეზობლები

რით ვიხსნა სამშობლო, ან რაღა შემიძლია! —
 მისთვის მე სიზმარში სამყარო შემიძვრია,
 ცხადში კი ჩემი ხმა ყორანსაც არაფეთებს...
 და ვავლებ სამშობლოს სტრიქონთა პარაპეტებს,
 ჩავიკრავ გულში და ბავშვივით ვეფერები —
 სამშობლოს ალერსით გამიჩნდეს ბებერები!..
 ოჰ, მიწავე ქართულო, დალილო, დადაღულო,
 სხვამ რომ არ წაგიღოს, როგორღა გადაგხურო!
 რამდენჯერ დამწუხრდი უცხოთვისის მისყიდვისგან!
 ვის და ვის არ დარჩი, ვინ აღარ მიგითვისა!
 ტაოში საყდარს რომ ვუყურებ უგუმბათოს,
 იმნუთას ჩემი მზე ცივობს და უკუნათობს...
 მაშინ კი, როდესაც ვწუხ დროზე უარესზე —
 სამშობლოს ჩავიკრავ გულში და ვუაღერებ.
 სხვა მეტი რა ძალმიძს კალმით და ქალაღებთ!
 სამშობლოს თუ უჭირს, მე როგორ ავეყავდები?!
 დახუთულს ნიავეც არა მსურს მენიავოს...
 როცა ჩვენს ტაძარზე ამბობენ, ჩვენიავო!
 გულო, ვგრძნობ, სიმწარით თუ როგორ მეცოფები
 მისთვის, რომ სამშობლოს გვიტკენენ მეზობლები...
 მაინც არ ვუსურვოთ მეზობლებს დღეუდარო,
 პირიქით: ვეხვეწოთ, ვევედროთ, ვემუდაროთ,
 ოღონდ ნუ გვექნება ომი და დახოცვები...
 მე მათ მზეს, მათ ცას და მათ მიწას ვაკოცებდი!..
 და ვთხოვ და ვენუკვი სამშობლოს მეზობლებსდა
 ვეტყვი: რაც ჩვენია — ჩვენთვის ნუ გეზოგებათ!
 ნუ წაგვგვრით მას, რაზეც სისხლად ვართ დანთხეული!
 თქვენთვის ხომ ჩვენ ფიჩხიც არა გვაქვს წართმეული!
 ღვთის მადლით ველირსეთ ცხოვრებას უწარმართეს
 და, ჩვენსავე მიწაზე, ჩვენს ნაგებს ნუნაგვართმევთ,
 რომლითაც ჩვენ მაშინ შევამკეთ ნარიყალი,
 როცა თქვენ მეზობლად მოსული არიყავით!..
 ამიტომ, რაც იყო სულ ჩვენი კუთვნილება,
 იმ ტაძრებს უჩვენოდ კედლები უტკივდებათ...
 და ვიბჭოთ სიმართლის სამოსელ ვუაღებზე:
 სალოცავს ჩვენსას — ჩვენ, თქვენსას — თქვენ უაღერსეთ!

სპექტაკლი ქალაღზე

აქეთკენ — მოხუცებს და... იქეთკენ ბაღებსშიათ...
 სპექტაკლს ვდგამ უპიესოდ, პიესა ძარღვებშია:
 მოდის და მოთქრიალებს, იღვრება სურათებად...
 და ძაღლი, შიმშილისგან, მგელდება, ტურავდება...
 და მე ვდგამ სპექტაკლსა და არ ვიცი რაჰქვიამას.
 მუსიკა — ბეთჰოვენმა, ან ღრუბლის ფრაკიანმა
 მთვარემ რომ დამინეროს — იქნება უპრიანი,
 რადგან ვართ სანახევროდ მთვარიან-ღრუბლიანი,
 თვით მზეც კი სანახევროდ დაგვანათის ცარგვლიდან,
 რადგან ჩვენ მარგალიტსაც ვერ ვაჩენთ მარგალიტად...
 ვდგამ სპექტაკლს ქალაღზე და სტრიქონებს — მსახიობებს:
 უამრავს ვავისოსებ... ცოტას კი — ვალიობებ...
 და არის პოეზია — ქალაღზე თეატრიდა
 ღმერთს, გარდა პოეზიის, თავს ვილა შეადრიდა!
 და, სულო, არ შეშინდე, თუკი ცამ მოგიპოვა!
 სპექტაკლს ვდგამ უპიესოდ — ქალაღზე რობიკოვარ! —
 სხვაგვარად დაგანახებთ ჩვენს ცნობილ ბაიყუშებს,
 გმირებსაც, საშინელი წყლული რომ გაიყურეს...
 სინმინდე გაგვეფანტა ბაჯალლო ოქროებად
 და უნდა დღეიდანვე დავიწყოთ მოგროვება!
 სპექტაკლს ვდგამ ქალაღზე და დროებას ვურისხდები
 და ქალაღს კარგია, რომ არა აქვს კულისები...
 არამხდარ ოცნებებზე არ ვამბობ აღარაფერს...
 ვერ ვუტყერ ტელევიზორს, ვერ ვუსმენ ახალამბებს... —
 როდემდე ეკრანიდან ამდენი სენსაცია!
 და... რატომ დაგვავეწყდა, რომ წვიმა სენ-სანსია,
 რომ თოვლი მოცარტია, ქარი კი — შტრაუსიდა
 რომ სულს მზემ სამრეკლოზე ზარები აუზიდა... —
 დარეკეთ ეს ზარები, გიჟივით დაარისხეთ,
 რომ ჩვენი საქართველო წავიდეს გრაალისკენ!

ჩვენ და ლექსები

თუკი რითმებია სტროფების სოლოფრთები,
 რითაც ქვეყანაზე არასდროს ვბოლოვდებით,
 თუკი მეტაფორა რიკულობს სტრიქონშიდა
 კარში პოეზიას შეაგდებს რიკოშეტი...
 თუკი აზრისათვის სტრიქონი ელასტიკობს,
 თუკი ელოდება გაძლება ყველასტრიქონს,
 მავალთ სითეთრეში მელანის შავიჩოხით,
 მაშინ შეგვეძლება აღარსად ჩავიჩეხოთ...



ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები
ანუ ღებთი-ყივჩაღი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასაწყისი N242-243

სიჩუმე კარგია. სიჩუმე ყველაზე კარგად და ცხადად ესმის ადამიანს. განუწყვეტლივ იმ ამბავზე ვფიქრობდი, რაც შემემთხვა, ნურ მუჰჰამად ბანზე, ვინც მათარახი გადამკრა და თვალი დამივსო — „რას მერჩოდა, ნეტავ, რა დავუშავე?..“ მაგრამ პასუხი არსაიდან ჩანდა. კითხვის დასმას არასოდეს აქვს აზრი. არც არასოდეს ჰქონია. პასუხი მაინც არ არსებობს. ყველაფერი უზენაესის ხელშია. სჯობდა, არსთა გამრიგისთვის მალე გამოჯანმრთელებოდა მეთხოვა, რომ ჩემი მტერი მომეგებნა და ანგარიში გამესწორებინა. ჩემი გამზრდელი მამიდა — ხადიუათის — და ალალი მამიდაშვილების ყივჩაღს უნდა დავცემოდი და ნურ მუჰჰამად ბანი უნდა მომენადირებინა. მერე, ვინ იცის, მერამდენედ გამახსენდა, რომ იმ წყეულ შფოთთან დღესაც პირველი მე დაველაპარაკე — „აქ საიდან გაჩნდი?“ — ვკითხე.

გამოჯანმრთელებას ველოდებოდი. ჩემმა ყივჩაღელებმა თანდათან მოუკლეს ჩემთან სტუმრობას და ძღვენის მორთმევას. ყველა თავის საქმეებს და საზრუნავს მიუბრუნდა. მხოლოდ ჩვენი კეთილი ჰაქიმი ჰაფიზულა დურანაჰმადი არ მტოვებდა და დროდადრო არაბი მულაჰ იბრაჰიმი მაკითხავდა სულელი ნათესავის ალლაჰნაზარის თანხლებით.

ალლაჰნაზარი კი საერთოდ ძალიან უცნაურად მყავდა შემოჩენილი. თითქოს გული უგრძობს, მარადიულმა ლურჯმა ზეცამ მთავაგონა თავისი დანახული და მართლაც რაიმე იცისო. იქნებ ტყუილად არ ამბობდა ბრძენი თეთრწვერა შეიხი აბდულაჰ ალ მიათლი ულ-ისლამი ალლაჰნაზარზე — „ალლაჰის შერდომილია, მასა და მის მსგავს ნათელისადმი უფრო იოლი ნვდომია, ჩემზე მეტი გამჭრიახობა და ნათელმზილველობის უნარი აქვთ...“ ჩვენ კი მის ნათქვამზე მორიდებით გველიმბოდა. უფრო ნაკლებად მორწმუნეები, თავზეხელაღებული და თავხედები კი შეიხ კულ-ისლამის ამ სიტყვებზე ხმადაბლა და ონავრულად ხუმრობასაც კი ბედავდნენ.

ალლაჰნაზარი ისედაც სულ თან დაჰყვებოდა არაბ მულაჰ იბრაჰიმს, ჩემს მოსანახულელებად მოსულსაც თან მოჰყვებოდა, ჩამომიჯდებოდა ცხვირწინ, სახეში შემომცინებდა და სუფიების ზიქრზე დატრიალებული დერვიშებით ან

მოციქული ისხას შეპყრობილი სალოსი ბერივით ჩლიფინით იმეორებდა ერთსა და იმავეს:

— ბაბურ, აა, ბაბურ! რა მაგარი ხარ, ბაბურ. როგორ დაამარცხე და გაყარე მტერი, არა, ბაბურ?.. ბევრი ურჯულო გიავური აკაფე შენი პირბასრი ხმლით, ბევრი გაუყენე საიქიოს შავ გზას, ხო, ბაბურ?.. შენც დაგჭრეს, მაგრამ მაინც ვერ მოგკლეს, ხო, ბაბურ, იმ უცხო მოდგმის ხალხმა?.. მითხარი, ვინ იყო ის ყურყვითელა ტურა და ალლაჰის მტერი და მე მას პირდაპირ მუცელში გავუყარი დანას!.. აი, ნახე, თუ არ გავუყარო! ვინ გაკადრა, როგორ გაგიბედეს ეგ, შენ ხომ ჩვენი იმედი ხარ, ბაბურ?.. მითხარი, ვინ იყო და ნახე, რა ვუყო. აი, შენ ნახავ!..

ალლაჰნაზარის ბოდვაზე თავიდან ნაძალადევი მეცინებოდა, მაგრამ იქვე არაბი მულაჰ იბრაჰიმის გამომცდედ და დაეჭვებულ მზერასაც რომ ვანყდებოდი, მაშინ ასე ძალითაც ვეღარ ვიღიებოდი — „რას გადამეკიდა ეს შობეძალი, რომელმა შაითანმა ჩასჩურჩულა ჩემი ამბავი, ან უძირო ზეცის რომელ ანარეკლს მოჰკრა თვალი-მეთქი“ — ვფიქრობდი შეშინებული. თან ყველაფერი თავიდან მახსენებოდა, თავიდან მიბრუნდებოდა, სულ უფრო და უფრო მიპყრობდა შმაგი მრისხანება. უკვე დაფეთდი არაბ მულაჰ იბრაჰიმთან, ჩვენი ალლაჰნაზარის მაგივრად სხვას რომ დავინახავდი და მივამსგავსებდი, უკვე დაძაბულობისგან ვხტებოდი და სადმე დამალვა მინდოდა. თავად ალლაჰნაზარს კი არც ჩემი შემოფოთება და უხერხული სიმწრის სიცილი ანაღვლებდა და თითქოს ვერც არაბი მულაჰ იბრაჰიმის უცნაურად დაღვრემილ, ღრმად ჩაფიქრებულ სახეს ამჩნევდა, რომელიც გამჭოლი მზერით ცდილობდა ჩემი სულის ბნელი ლაბირინთების საიდუმლოს ამოხსნას. ჩამომიჯდებოდა არხეინად წინ ალლაჰნაზარი, შემოფლეთილი შარვლიდან მთელ თავის ავლადიდებსა და დამომილაგებდა, მატაკებდა ამ ამოთხრილ თვალში თავის ჭუჭყიან, დაუბანელ თითს, რომელზეც ჯერ კიდევ ჰაქიმი ჰაფიზულა ნურაჰმადის საფენები მეღო და აღფრთოვანებული მხიარულად არხეინად დებოდა:

— ბაბურ, ბაბურ, რა მაგრად დაამარცხე მტრები, ბაბურ, აა? როგორ გააქციე ის ნაბიჭვრები, ბაბურ, არა? ბევრი ამოხოცე? თვითონაც დაგჭრეს, ბაბურ, მაგრამ ვერ მოგკლეს, ხო?.. ხო ცოცხალი ხარ? აქა ხარ, ხო, ბაბურ? აქა ხარ, ხო, აი,

აქ?!. და ეგ თვალი რომელმა ჩვენიანმა ამოგთხარა, ბაბურ? რატომ? კარგი, არ მოიწყინო შენ!.. მითხარი, ვინ იყო და შენ ნახე, თუ არ მოვკლა. ნახე, იმას რა ვუყო?!

ისე მომბებრა თავი და ისე გამაგიჟა, ყოვლადმონყალე ალლაჰმა მომიტევეს და, ერთი-ორჯერ ისიც კი ვიფიქრე, ერთი ბნელი და უმთვარო ღამე ხომ არ შევარჩიო, ალლაჰნაზარის ფარღალა ქობში ხომ არ შევიპარო და უმად ხომ არ მოვგედო მძინარე-მეთქი. რაღაც ძალიან ბევრი რამ იცოდა და ხედავდა და კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობდა. თუმცა უდაბნოს ბარხანებიდან მოყოლილი ეგ შავი ფიქრები მალევე უარყვავი — ჩემს ცოდვებს, უკვე ჩადენილს და ჯერ ჩასადენს, ჩემი სანყალი მოძმის სისხლი კიდევ უფრო დაამძიმებდა და ჩემს ტანჯულ სულს ისევე შთანთქავდა ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმა უფსკრულში, როგორც წყვილ, შეყვარებულ და შორეული ფრენით დაღლილ, გადაქანცულ გედებს უდაბნოს ქვიშის ქარიშხალი. შემეცოდა საკუთარი დაკარგული თავიც და ჩვენი შტერი ალლაჰნაზარის, რომელმაც, იმის მიუხედავად, რომ ჩამოძინილი დადიოდა და სიცოცხლეში პირი არ დაუბანია, უფრო მეტი იცოდა და უფრო შორს ხედავდა, ვიდრე ყივჩაღეთის ოთხივე კთის ულუმები და ჰადისის მთხრებელი მოხეტიალე დერვიშები ერთად აღებული და სიშლევის მიუხედავად, ბუხარელებზე აბუ-ალ იბნ-სინაზე გამჭრიახი და რუდაქზე უფრო მჭერმეტყველი იყო. დიდ საგონებელში ჩავგავადო მეც და არაბი მულაჰ იბრაჰიმიც და მანაც, ჩემდა მჭირად, და ჰაქიმ ჰაფიზულა ნურაჰმადის გასაბრაზებლად, რომელიც სამართლიანად მიიჩნევდა, რომ მულაჰ და მისი ჩამოძინილი ყაზიყი ალლაჰნაზარი ჩემს ნორმალურად მკურნალობას არ აცდიდნენ და ხელს უშლიდნენ.

ერთ მშვენიერ ნათელ და მზიან დილას კი, მზის ამოსვლის და მეორე ნამაზის დასრულებისთანავე, ჩემს სახლთან არაბი მულაჰ და მისი თანხლები ალლაჰნაზარი გამოჩნდნენ. არაბი მულაჰ იბრაჰიმი პირდაპირ, უკითხავად ამოვიდა სახლის ბანზე, სადაც მე ვინეკი. ზრდილობის გამო ფეხზე წამოსადგომად წამოვიწიე, მაგრამ ხელით მანიშნა, იწეო და მეც დიდი სიამოვნებით დავმორჩილდი. ალაღად რომ ვთქვა, სულაც არ მეპიტნავებოდა ახლა ამ ნამძინარეზე წამოხტომა და მის წინაშე მონინების და თავაზიანობის ნიშნად გულზე ხელის დაკრეფა და ქედის მოხრა.

ალლაჰნაზარის მხარზე დიდი დანხული კალათი შემოედგა, რომელზეც სუფთა ხილაბანი გადაფარებინათ. გამიკვირდა. გამიკვირდა, რადგან ბრძოლაში ჩემი დაჭრის პირველ ხანებშიც კი, როდესაც მთელი ყივჩაღი და ჩემი საგვარეულო-ულუსი ერთმანეთს ასწრებდა მდიდარი დოსთარხანებით ჩემთან მოსვლას და გამასპინძლებას, არაბ მულაჰ იბრაჰიმს ძღვნად ერთი ჭიანი ვაშლიც კი არ მოუტანია არც ერთხელ, რადგან სასულიერო პირების უმრავლესობის მსგავსად, გვარიანი ძუნწი გახლდათ. ალლაჰიმც შეუდობთ მათ და პირიქით — ეგეც და ალლაჰნაზარიც აქვთ კაი მადაინად მისანსლავდნენ ხალხის მოძღვნილ სანოვანეს. ყოველ მეორე დღეს თავზე ჭრილობებისგან დასუსტებულსა და სისხლისგან დაცლილს კეთილშობილი წიგნიდან — მასხარი შარიფ — წმინდა ყურანიდან ლოცვებს და სულთმობრძავის სურებს მიკითხავს და მანამდე კი ამ დამთხვეულ ალლაჰნაზარს აჭმევინებდა ჩემს თავს თავისი გიჟური ბოდვებით. თუმცა ღვთის წინაშე სიმართლე უნდა ითქვას, ლოცვებს კი დაუშურვებლად მიკითხავდა. დიდებულმა ალლაჰმა მიაგოს მას მაღიერი ამ ღვანლისთვის.

ალლაჰნაზარმა კალათა მხრიდან ჩამოიღო, ჩვეულებისამებრ წინ ჩამომიჯდა და გამავეებული ტურტიანი თითი ამოთხრილ თვალზე დამალირა. სიმწრისგან მეორე თვალიც დავხუჭე. ის იყო, თავისებურად ხალხისიანად უნდა აჩლიფინებულიყო და მოგზავნილივით დავეკითხე — ისიც კი ვიფიქრე, ყურებზეც ხომ არ ავიფარო ხელი-მეთქი — რომ მოულოდნელად არაბმა მულაჰ იბრაჰიმმა მიხსნა. ალლაჰნაზარს ფრთხილად ფაქიზად მოკიდა ორი თითი საყელოს ნაგლეჯში, მოურიდებლად ააბრძანა და თავის უკან გადასვა. თავად კი ასევე ფრთხილად და დარბაისლურად მორთხა ფეხი ჩემს წინ. ჩვენ შორის მოზრდილი, მოწნული კალათა ჩადგა, სუფთა ქათქათა ხილაბანი გადახანდა და გიმრის ძონის და ფირუზის თვლიანი ვერცხლის ბეჭდებით მორთული, მოვლილი თითებით მანიშნა კალათზე.

— მიირთვი, ბაბურ, ღმერთმა შეგარგოს! — მითხრა თავისი დაბალი, მელოდიური ხმით და არაბული კილოთი.

კალათი სავესე იყო ნაირნაირი სანოვანით — შემწვარი ხორცი; ახლადდაცხობილი თხელი, სიფრიფანა ლავაშები ხის აიაკებით; ფილებით თაფლი; ფინიკი; ნუში და სხვა ხმელი ხილი; დაშაქრული და მარილმოყრილი დიდრონი ნესვის ნაჭრები.

ჭრილობებისგან დასუსტებული და სისხლნაკლები მხოლოდ ახლა ვიღვდენდი ძალებს და მშვიდი რუხი მგლის მადამქონდა. თან ამ დილაადრიან უზმო ვიყავი და გვარიანად მშობდა. წამოვჯექი, არაბ მულაჰ იბრაჰიმს და ჩვენს ალლაჰნაზარსაც შევთავაზე მათივე ძღვენი და თავადც გემრიელად შევქექი. არც ლტუმრები ჩამორჩნენ და ისინიც კარგა მადაინად დაუტრიალდნენ დილის საუზმეს.

როდესაც დავნაყრდით, არაბმა მულაჰ იბრაჰიმმა ხელეწი დილის მოწმენდილი ლურჯი ცისაკენ ალაპყრო.

— ბისმილლაჰ! — შთავიწყებული ხმით თქვა და ბეჭდებით დამძიმებული თითები დარბაისლურად ჩამოსვა ფაქიზად ჩამოვარცხნილ, აფუებულ ნვერზე. ჩვენმა ჩურჩულმა ალლაჰნაზარმაც მიბაძა და თავის გაქუცულ, ქოსა სახეზე შავი, ყინვისა და თვალუნებუნელი ქარისგან დახეთქილი, თითები მოისვა. მანაც უძირო ზეცას და ზენაარსს, ყოველივეს შემოქმედს, შეავედრა თავი.

— ვალლაჰი, ბილლაჰი, თალლაჰი!.. რა მშვენიერია მაღალი ალლაჰის 100 სახელიდან 99-ვე ცნობილი სახელის წარმოთქმა. რამდენად დიდი მადლია ჩვენი ცოდვილი ბაგეთგან მათი წარმოთქმა, რამხელა წყალობაა ყოვლადმონყალე უფლისგან... — მიძიმე დაიწყო არაბმა მულაჰ იბრაჰიმმა და ყურადღებით შემომხედა.

თავი არ დამიხრია. მეც ყურადღებით და დაკვირვებით შევხედი ჩემი ერთადერთი შემორჩენილი თვალით. არაბი მულაჰ იბრაჰიმი ისე მიყურადებდა ამ ცალ თვალში ორი თვალის, თითქოს ჩემი სულის სიღრმეში უნდოდა შემოძრომა და იქ კარვის დაცემა, ან თვალის გარსის ზედაპირზე ჩემი დაფარული აზრების ნაკითხვა. მის დაჟინებულ მზერას პირდაპირ ვავსწორებ



თვალს. პირდაპირ და მოლოდინით ველო-
დებოდნენ, რას მეტყობდა. ის კი მრავალმნიშ-
ვნელოვნად დუმდა და თვალბრუნებით
დაკვირვებით შემომცქეროდა. მივხვდი,
რომ ეს ლაპარაკი უკვე ორთაბრძოლად
გადაიქცა — ვინ ვის — და უცებ ვინანე,
თავი რომ არ მოვიმძინარე, ან სხვა რაიმე
გზით არ ავირიდე თავიდან მათი სტუმრო-
ბა. თუმცა ახლა გვიანი იყო. ამას ისევე ალ-
ლაპარაკის მორღვეული შარვალი, მოშ-
ვერილი თითი და მისი გიჟური მხილება
მერჩივნა. თუმცა გუშინი მეუბნებოდა, თა-
ვადაც ვხვდებოდა, რომ არაბი მულაჰი
იბრაჰიმის ამ დილანდელი სტუმრობა და
მისი მოულოდნელი გულუხვობაც სწორედ
ალლაჰნაზარის არეულდარეული აკვირებ-
ბული სიტყვების და უცნაური შეპყრობილი
ახირების დამსახურება იყო.

— ყური მიგდე, ბაბურ, შენ ჭკვიანი და,
ახლაგაზრდობის მიუხედავად, უკვე
გამოცდილი, სახელგანთქმული და
მრავალჭირნახული ბიჭი ხარ, თანაც მე-
ბრძოლი. ისიც ვიცი, რომ ყიშლალის დან-
არჩენ ჯიგიტებთან ერთად საქარავნო
გზებზეც დაიარები, ალლაჰიმც შეგინდობს
და აგერ უკვე მშობლიური ულუსისთვისაც
გაამიშველ ხმალით ნამდვილ ბრძოლაში.
ისეთი ჭრილობებიც მიიღე, ცოტას განყ-
და, შენი სული მთავარანგელოზ
ჯაბრაილის წმინდა და სამიწელ სამსჯავ-
როზე არ ნარსდგა, მაგრამ ალლაჰის ნებით
ჯერ არ დაგვტოვებ და ამ ცოდვილ დედამი-
წაზე დარჩი. ეტყობა, შენი ცოდვების გამო
უფალმა არ მოილო შენზე უდიდესი მად-
ლი, რომ შაჰიდი გამხდარიყავი ალლაჰის
გზაზე. ეტყობა, არ დაგიმსახურებია...

— დიას, ყოვლადმოწყალე ალლაჰისა
და ჩვენი ბრძენი ჰაქიმის ნურმუჰამად
დურნაჰმადის წყალობით, — ვუთხარი
განგებ, მისი გაურკვეველი და მოსაწყენი
ლაპარაკის გამო რომ გამეზოგებინა
მანც...

არაბი მულაჰი იბრაჰიმი და ჩვენი ჰა-
ქიმი ნურმუჰამად დურნაჰმადი ერთმა-
ნეთს ვერ იტანდნენ, აუგ სიტყვებს არ
იმუხრებდნენ და ყველანაირად ცდილობდ-
ნენ, ხალხის თვალში ერთმანეთი დაემცი-
რებინათ და შეუერაცხყოთ. ეს ჩვენი ყიშ-
ლალის ცოდვები იყო გაყოფილი. ეს გამოჩე-
რებულნი, გაშუღებული ვირული და
უაზრო შრომის, შიმშილისა და სიღარიბის-
გან გაშტერებული და გამოთყვენილებული
ხალხიც ზოგი ერთს უჭერდა მხარს, ზოგი
— მეორეს, ან ხან — ერთს, ხან — მეორეს...
ეგეთებიც იყვნენ, ორივესთან ტურებივით
დაძვრებოდნენ, ორივეს რიგრიგობით
თათხავდნენ და მერე ენაც თვითონვე მო-
ჰქონდათ. მათი ცხოვრების მთავარი
აზრები ეგ იყო, ქოსა საჭურისივით ზურგს
უკან ჭორაობა, სხვის კარზე ყურის მიდე-
ბა და ამბის მიტანა. რაც მტრობა ჰქონ-
დათ, ეს დაბეჩავებული და მოწყენილი
ხალხი კიდევ ათ იმდენს უმატებდა. მოკ-
ლედ, ყიშლალში ვინც ჯანმრთელად იყო,
არაბი მულაჰი იბრაჰიმის მხარეს იყო,
თავისი ცოდვებისათვის და დაგრძელებულ
ენისთვის დაავადებულები კი ისევე ჰა-
ქიმი ნურმუჰამად დურნაჰმადის მხარეზე
გადადიოდნენ და სული რომ ამოუხდებო-
დათ, ისევე არაბ მულაჰი იბრაჰიმს უპარ-
დებოდნენ ხელში და მისი უკანასკნელი
ლოცვების ანაბარა დგამდნენ საიქიოს
კართთან — სამოთხესა და ფართოდ პირ-
დარეხილ ჯოჯოხეთს შორის.

როგორც მოველოდი, ჩემმა სიტყვებმა
არაბი მულაჰი იბრაჰიმი გაანაწყენა. მან
უქმყოფილოდ შემომხედა, მერე ძვირფა-
სი ბეჭდებით დამშვენებული ხელები ნაპ-
ატებზე მუცელზე დაიწყო და სა-
სონარკვეთილმა ზეცას აჰხედა — რა მეშ-
ველება ამ წმინდა ადამიანს ამდენ ცოდ-
ვილსა და სულელში. კარგა ხანს დუმდა
და გაღიზიანებული ხვნეშოდა. ელოდა,
რომ პირველი ვეტიყლი რაიმე საბოდიშო-
ს, მაგრამ ჯინაზე ხმასაც არ ვიღებდი.
ჩუმად ვინეკი. ეგ კი არა, ერთი-ორჯერ
კინალამ ჩამთვლია. იქვე კი ჩვენი ყიზიყი
ალლაჰნაზარი ჩამჯდარიყო და დაუ-
ფარავი ინტერესით გვიყურებდა მე და
მულაჰს, გვისმენდა და თან ახლადნაჭა-
მი ხმამაღლა და მონდომებით აბოყნიებდა
და დროდადრო ისე მქუხარედ აფუჭებდა
ჰაერს ამ წმინდა საუბრის დროს, რომ მე
ლიმოს ძლივს ვიკავებდი, ხოლო არაბი
მულაჰი იბრაჰიმი — წყრომას. უწინოდა,
რომ გაბრაზდებოდა, ამ პირველ ალლაჰნაზ-
არს უფრო უარესი რამ ამ ჩაედინა, ან არ
ეთქვა და კიდევ უფრო სასაცილო დღეში

არ ჩავარდნილიყო. ჩემს შეკავებულ
ლიმილსაც ამჩნევდა და ისე გაბოროტებით
გვიყურებდა მეც და ალლაჰნაზარსაც, რომ
უკვე ცხადი იყო, ჰაქიმ ნურმუჰამად დუ-
რანაჰმადზე უფრო მეტად თუ არა, ნაკლებ-
ად აღარც ჩვენ ვსულდით. ბევრი იხვნეშა
და იკრუსუნა არაბმა მულაჰი იბრაჰიმმა,
მაგრამ რაკი ჩემს სიჩუმეს და ჩადგებულ
ენას საშველი არ დაადგა, კიდევ უფრო
სულელურ მდგომარეობაში რომ არ აღ-
მოჩენილიყო, იძულებული გახდა, ისევე
თვითონ განეგრძო საუბარი და ბოლოსდ-
აბოლოს ეთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა.

— აი, ასეთი მცდარი აზრებიც შენი
მცირედმორწმუნეობის შედეგია, შვილო,
ბაბურ, — დაიწყო თავიდან არაბმა მულ-
ლაჰი იბრაჰიმმა, — ვინ არის ეგ თქვენი ჰა-
ქიმი ნურმუჰამად დურანაჰმადი, ან შენ ვინ
გგონია იგი უზენაესი ალლაჰის ნების
გარეშე?.. მლილი, ნაცარი, მტვერი, უკუ-
დო მამლის ბუმბულის ნაწილი, ქარი რომ
თავის ნებაზე მიაფრიალებს ყარაყურუმის
უდაბნოს თავზე, რომ ქვიშაში ჩამარხოს და
უკვლოდ გააქროს ან იმ უდაბნოს ქვიშის
უმცირესი ნაწილაკი. ჰაქიმი ნურმუჰამად
დურანაჰმადი — არაბმა მულაჰი იბრა-
ჰიმმა ძალით გაიცილა, — ნუთუ არ იცი, ო,
ციმდავლო ადამის ძეო, ნუთუ არც ესმე-
ნია, რომ ყოვლისშემძლე ალლაჰის ნების
გარეშე ცის მარხებიც კი ვერ გადაადგ-
ილდებიან, ვარსკვლავები ვერ ციმციმე-
ბენ, მზეც ვერ ჩავა და მთვარე ვერ ამოვა?
— მულამ ხელით ზეცისკენ აღაპყრო, —
შენი აზრით, ვინ დაჰყავს ცის კაბადონზე
მარადისობის ეტლი?.. ვინ არის ამ ყვე-
ლაფრის, რასაც თვალს აწვდენ და რასაც
ვერ ხედავ, უზენაესი გამრიგე?..

— მე კი ყირგიზული ანდაზა მსმენია,
პატივცემულო მულაჰ — „ნუ გალანძღავ
ზურგს უკან ადამიანს, რადგან მინა და
ზეცა ყველაფერს იმახსოვრებენ...“

— მე შენს თვალებში, — განაგრძო არ-
აბმა მულაჰი იბრაჰიმმა და უცებ შეკრთა
— ჩემს ცალ თვალში რისხვის ნაპერწკა-
ლი გაჩნდა და მან ეს ძალიან კარგად
დაინახა, თუმცა თავი შევიკავე და
არაფერი მითქვამს, — მე შენს თვალში, —
განაგრძო მულაჰი ყოყმანით და ენის
ბორძიკით, — დიდ ტკივილსა და დაეჭვე-
ბას ვხედავ, ეს კი პირდაპირი გზაა
შაითანისკენ და დაღუპვისაკენ, სულით
ხორცადმე ნარწყმედისაკენ ორთავ
სოფელსა შინა; შენი ეჭვი მრისხანეობის და
ამპარტავნებით არის ნასაზრდოვები და
ჯოჯოხეთის სისხლისფერი ცეცხლის შუ-
ქით განათებული და ის უნათებს დაღუპვი-
სა და ყოვლადმოწყალე ალლაჰის უს-
აზღვრო სიკეთისადმი, ღვთაებრივი სიყ-
ვარულისადმი დაეჭვების გზას. სწორედ ეს
ვა უარყოფს საყოველთაო მადლს და
ქადაგებესეჭვს, სიძულვილს, ბოროტებასა
და უღმერთობას. სწორედ ამაზეა თქმული
ეს ამბავი: ერთხელ ალლაჰის მოციქულ
მუჰამადს, ალლაჰის სალამი და წყალობა
მას, — თვალზეც ცრემლები მოადგა, —
ჰკითხეს მისმა მოსწავლეებმა და მიმ-
დევრებმა — ო, ალლაჰის მოციქულო, რა-
ტომ ტირი? რისთვის ღვრი ცრემლებს?..
ხოლო ალლაჰის მოციქულმა, მაღალი
ალლაჰიმც არის მისით კმაყოფილი, უჰა-
სუხა — „მენატრებიან ჩვენი ძმები და ვწუხ-
ვარ მათ სულზე და მათ ბედ-იღბალზე“
და მაშინ მიუბრუნა გაკვირებულმა მიმ-
დევრებმა და მოსწავლეებმა — „ო, ალლა-
ჰის მოციქულო, განა, ჩვენ არა ვართ შენი
ძმები და განუშორებლად შენს გვერდით
არა ვართ?..“ მაშინ ალლაჰის მოციქულმა
მუჰამადმა, ალლაჰის დიდება და წყალობა
მას, უჰასუხა — „თქვენ ჩემი მოსწავლეე-
ბი და მიმდევრები ხართ. დიას, თქვენ ჩემი
მიმდევრები და მოსწავლეები ხართ, ხოლო
ჩემი ძმები ისინი არიან და ისინი იქნებიან,
ვინც ჩემს მერე მოვლენ და ჩემს უხილვე-
ლად ინამებენ ჩემს სიტყვას და ჩემს საქმეს.
აი, სწორედ მათი ბედ-იღბალი მანუბებს და
მათი სულების გადარჩენისთვის ვფიქრობ
და ვტირი.“ აბა, დაფიქრდი, ო, ბაბურ, რა
სამწუხარო და სავალალოა ეს ყოველივე
— ალლაჰის მოციქულ მუჰამადს, უფლის
სალამი და წყალობა მას, ჩვენც ასე ვუყ-
ვარვართ, საკუთარ ძმებს გვიწოდებს, რამ-
დენი საუკუნის მიღმიდანაც კი ზრუნავს
ჩვენს უბადრუკ ბედ-იღბალზე და წარწყ-
მედილ სულზე. ჩვენ კი სულ უფროდაუფრო
ვშორდებით მის სიტყვას და საქმეს, მის
ნაკარნახევ მასხარი შარიფ — კეთილშო-
ბილ ნივსს, წმინდა სუნასს, მის ჰადისებს
და მხოლოდ იმიტომ, რომ წამიერი და მი-

წიერი ყოფა გვიტაცებს, ყოველ ჩვენთა-
განს სიხარბე ახრჩობს, ფუფუნება, სიმდი-
დრე და მეფურად ცხოვრება ნებას, თუმ-
ცა არავინ ეკითხება საკუთარ თავს — რა-
ტომ, რითი დაიმსახურა ამგვარი წყალო-
ბა?.. მეტიც, ეს ხმელა პური მაინც თუ დაიმ-
სახურა, რომელსაც ახლა ცხვირს უბზუე-
ბს, თავის ბედსა და ყოფას კიცხავს და ყოვე-
ლადმოწყალე ალლაჰს გმობს?..

უკვე ყურადღებით ვუსმენდი. თავიდან
იმიტომ, რომ მაინტერესებდა, მარტო ალ-
ლაჰნაზარის ნაწარმოების გამო მომად-
გა საწოვარით სავსე კალათით თუ თვი-
თონაც რაღაცას გრძობდა ან იქნება
იცოდა კიდევაც?.. საიდან უნდა გაეგო?..
რომელი უდაბნოს ბნელ ქარიშხალს უნდა
ჩაეგონებინა ჩემი ამბავი?.. ამკარად რა-
ღაცას იკვლევდა! მერე კი მართლაც
დავფიქრდი, მართლა ჩავუფიქრდი მის სი-
ტყვეს... ცოტა ხანს ორივე ვდუმდით,
როდესაც მულამ გაჩუმება ინება. ალ-
ლაჰნაზარი კი თვალმოუცილებლად
გვიყურებდა, ხან ერთს შემოგვხედავდა,
ხან — მეორეს... ისიც რაღაცას ელოდა.

— ღრმად პატივცემულო მულაჰი
იბრაჰიმ, — ვუთხარი და საწოლზე წამოვი-
ნინე, — მაღლობის მეტი რა მეთქვას, რომ
ამ ბოლო დროს თავს იწუხებთ და ჩემნაირ
ბოგანოსთან ძღვენივითაც კი მობრძანდით,
— არაბი მულაჰი იბრაჰიმი უხერხულად
შეიმუშვნა და ძვირფასთვლიანი ბეჭდებით
დახუნძლული ხელი წინ ისე გამოიწოდა,
თითქოს პირზე უნდა ამაფაროდა და გამ-
აჩუმოსო, მაგრამ მე ჯიუტად გავაგრძელე
ლაპარაკი, — მე რა მოსაკითხი ვარ?.. მე
რა მოსაკითხი ვარ თქვენგან, ბრძენო მულ-
ლაჰი იბრაჰიმ, მთელი ჩენი ულუსი, ამხელა
ყიშლალი, მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი
თუ ბავშვი, ბრძენი თუ სულელი დღეში
ხუთჯერ თქვენი მეჩეთის მაღალი მინა-
რეთიდან ისმენს აზანს და ასრულებს ნამა-
ზს... მე კი როდესაც სადმე უდაბნოს ბარხ-
ანებში მზისგან გამოფიტული სულს დავ-
ლევ და ჩემი ძვლებიც ცოტა ხანში ზუს-
ტად ასევე გადაათვთებენ მოყვასფრო
უდაბნოს, როგორც მანამდე ათასობით
ჩემნაირი ბევრული მანანნალების ძვლებს
გადაუთვთებია, თვალის დახამხამებაში
ალარავის, თვით იმ შავ ყორანსაც კი აღარ
ვემახსოვრები, რომელიც თვალებს
ამომკორტნის. მთელი ჩემი ქონება ის ჭერ-
ჩამოღუნული ალაზის ქოხი, ძველი ქარქაშ-
მორყული პატიოსანი და სისხლით განათ-
ლული ხმალი, ეს ძველი გაქუცული უნ-
აგირია, რომელზეც ახლა თავი მიდევს და
ჩემი გამხდარი და ავი ცხენი არაფშა,
რომელმაც თუ დილიდან ვერ მოასწრო
ჩემი კბენა, სამიწელ ხასიათზე დგება და
მებუტება. აი, სულ ეს არის ჩემი ოჯახიც,
ჩემი ქონებაც, ჩემი ნადიმიცა და სარჩო-
საბადებელიც... და კიდევ ღირსება,
რომელიც ამ ჩემს მწირ ქონებაში ჩემთვის
ყველაზე ძვირად ფასობს და ღირებულია,
თუმცა სხვისთვის სრულიად გამოუსადე-
გარი, უმნიშვნელო და არაფრის მაცნისია.
ამიტომაც არის, რომ საკუთარი ღირსება
მხოლოდ მე უნდა დავიცვა. ვინც თავის
წმინდა ჭას ან წყაროს საკუთარი სიცოცხ-
ლის ფასად ხმლით ხელში არ იცავს, აქაო-
და, არაფერი დამიშავდესო, ღირსია, წყურ-
ვილით დამხრჩვას ამოხდეს სული და,
უმეტეს შემთხვევაში, ასეც ხდება. თუმცა
ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს რველგანდგო-
მილი ვიყო და ყოვლადმოწყალე ალლაჰის
არსებობაში ან მის უკიდვარო სიყვარულსა
და დიდსულოვნებაში ეჭვი შემქონდეს,
როგორც თქვენ მიბრძანებთ ახლა. დიას,
მარტომორწმუნე მუსლიმი ვარ, მწამს, რომ
არა არს ღმერთი თვინიერ ალლაჰისა და
რომ მუჰამადია მოციქული მისი. მწამს
სუნასის, სულის უკვდავების და სიკვდილ-
ის შემდეგ ცხოვრებისა, მწამს მო-
ციქულების და ისასი და მესიის მოვ-
ლინიების... როგორ შლეგა და მანანნალა-
საც არ უნდა გვაგვდ, — მწარედ გამეცო-
ნა, — არც ისეთი სულელი გახლავართ,
მულაჰ, რომ ვიფიქრო, თითქოს ვარსე-
ბობ მე, სრულიად უსარგებლო და ახლა
უკვე თვალგამოთხრილი ძვლებისა და
ხორცის ტომარა. არსებობთ თქვენ, პა-
ტივცემულო მულაჰ, არსებობს აგერ ჩვე-
ნი ალლაჰნაზარი, არსებობს ამდენი სულე-
ლი, ლაჩარი, ნაბიჭვარი, ძაღლის გაგდე-
ბული... — სიამოვნებით ვუყურებდი
როგორ იშუმუნებოდა არაბი მულაჰი იბრა-
ჰიმი ჩემი ლანძღვის მოსმენისას, თან გან-
ვავრობდი, — სასტიკი, ბოროტი და ძუნ-
წი, ხანები და ბეგები, უბადრუკი დამინებ-

ული და დაჩაგრული ყმები და მოწინააღმდეგე
ასეთები არსებობდნენ ჩვენამდეც და
იარსებებენ ჩვენს შემდეგაც ვიდრე მეო-
რედ მოსვლამდე; ამის მომსწრე იქნება
მთელი სამყარო, მზე მთვარე და ვარსკვ-
ლავები, მწერები, ცხოველები, მცენარეე-
ბი, ხეები, ეს წყალუხვი მდინარეები,
თვალუწმდენელი ტრამალები, უდაბნოები
და ამ ყველაფერთან ერთად არ არსებობს
ღმერთი. არა, მე ასეთი სულელი არ გახ-
ლავართ, თუმცა ნუ მინწყენთ, ღრმად პა-
ტივცემულო მულაჰი იბრაჰიმ, თუ გუ-
ლახდითაღ გეტყვით, რომ ჩემსა და უფალს
შორის შუამავალი არ მჭირდება.

— შენი სიტყვები სწორედ მაღალი ღმ-
ერთის გამოაა, ბაბურ, შენ მის ცნებებს გან-
იკითხავ, მის ქეშმარიტებაში შეგაქვს ეჭვი,
— სასწრაფოდ შემწყვეტინა არაბმა მულ-
ლაჰი იბრაჰიმმა და მოუთმენლად სხაპასხ-
უპით განაგრძო, — განა, უფლის მო-
ციქულმა მუჰამადმა, ალლაჰის სალამი
და წყალობა მას, არ მოგვივლინა უფლის
სიტყვა? განა, სწავლული და ბრძენი შეიხ-
ების, იმამების, ულუმებისა და მულლების
რუდუნებითა და მეცადინეობით არ გავრ-
ცელდა მთელს სამყაროში მაშორიყდან
მალრიბამდე ალლაჰის ცნება და მისი ნება?

— კეთილი. მაშინ ეს მიბრძანე, ღრმად
პატივცემულო მულაჰ, — და კიდევ
უფრო წამოვიწიე საწოლზე, თითქოს მოწ-
ინებით, სინამდვილეში კი უფრო იმიტომ,
რომ მოწილი ბრაზი დამემალა, —
მითხარი, რატომ ხდება, რომ თქვენ —
ღრმად პატივცემული, ჭკუით გაბრწყინებ-
ული მულეები, იმამები, ულუმები და შეიხე-
ბი — ყოველთვის სამყაროს მბრძანებლებ-
ის ყველანაირი მმართველების, ხანების
ფადიშაჰების და სულთნების სახელზე
ალავენთ პარასკევის ლოცვის დროს
მეჩეთებში ხოტბას, თუმცა ძალიან კარგად
იცი, რომ ისინი, უმეტეს შემთხვევაში,
ყველამდე სისხლში არიან და ისლამის არც
ერთ წმინდა ცნებას არ იცავენ? და რატომ
არასოდეს ლოცულობთ ჩვეულებრივი,
უბრალო, მშრომელი, საწყალი ხალხ-
ისთვის, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში,
უფლის ყველა სიტყვას ზუსტად იცავენ?..
მეტიც, თუ ის მტარვალის ფადიშაჰი ან
სულთანი დაამხეს და სადმე ხაზარეთის
ზღვის მივარდნილ კუნძულზე კეთროვნე-
ბში ამოხდებოდა სული, იმ წამსვე ივიწყებოდა
სულის მოსახსენებელ ლოცვასაც კი აღარ
უკითხავთ, ისე ივიწყებთ თქვენს
მფარველს და მბრძანებელს, როგორც, აი,
ამ ვაშლის ნაჭამს და უახლოეს
პარასკევსაც მის დამამხობელ და თქვენს
ახალ მფარველსა და პატრონზე აღავლენთ
ხოტბას, რომელსაც ჯერაც არ შემოშობია
თქვენი წინა მბრძანებლის სისხლი, რომ-
ლის ხელიდანაც მაძღროსად ჭამდით და
მისი დღეგრძელობისათვის ლოცვაში
იტყავებდით მუხლებს, იმ შემთხვევაშიც კი,
თუ ის მკვლეელი მოძალადე და სისხლისმს-
მელი, მართლმორწმუნე მუსლიმიც კი არ
იყო, შაითანთან ჰქონდა პირობა დადებუ-
ლი და წყულად მიწაგუსს ცემდა თავყანს?
რატომ ხდება ასე, ო, მულაჰი იბრაჰიმ?
ნუთუ თქვენ მართლა გგონიათ, რომ ყოვე-
ლადმოწყალე ალლაჰი მკვლევების,
ცბიერების და მოძალადეების მხარეზეა?
ურწმუნოების მხარეზეც კი, თუ კი იგი
ფადიშაჰის ტახტზე აღმოჩნდა?.. მაშ, რა
განსხვავებაა იბლისსა, იაჯუდებსა და მა-
ჯუდებსა და მულებსა და ულუმებს შორის?
სიმართლესა და სიცრუეს, სიკეთესა და
ბოროტებას შორის?..

არაბ მულაჰი იბრაჰიმს თვალები დაეხ-
უჭა და ვერ გაიგებდა, თვლემდა თუ მის-
მენდა. თუმცა ჩემს ბოლო სიტყვებზე გველ-
ნაკებნივით შესტა, ხელები ჯერ ისევე ზე-
ცისაკენ აღაპყრო, ხოლო შემდეგ ჩემსკენ
გამოიწოდა ვედრებით, თუმცა მაშინვე
შეიცვალა სახე და რისხვით მიმართა.

— ჩუ, ჩუ!.. იყურე, შე უღედური და ალ-
ლაჰს მადლობა შესწირე, რომ შენს უმეცარ
სიტყვებს არავის ვუმხელ, თუმცა ვალდე-
ბული კი ვარ, ყველაფერი ყადის მოვასხე-
ნო...
ცალკედ გამეცინა, სიცილმა კი გაჩეხ-
ილი სახე დამიჭიმა და ჩემი ჩაბნელებული
თვალი კიდევ ერთხელ დამანახა. ხელით
ჩემს გორდა ხმაღს მოვეფერე, რომელსაც
არასოდეს ვშორდებოდი, საწოლშიც კი.
არაბმა მულაჰი იბრაჰიმმა ცერად გახე-
და ჩემს ხმაღს, თუმცა არაფერი შეიმჩნია
და გულადად განაგრძო...



მაია ჯობორდი

 ყველა ჩიტი უნდა გაფრინდეს რაც გულს გიკენკავს
 ბედნიერებით ჩაანაცვლო მოტირალი დღეები
 რომ დაგიღალეს მოხარკე სული
 ყვავილების სუნთქვა შეიგრძნო და დაინამო
 გამომშრალი სახის ნაკვთები
 მთვარეს ეწყინება თუ დაგინახავს რომ ტირი
 და მზეც შეწყვეტს ნათებას
 ღიმილი შენი სასჯელია დაკანონებული
 დაბადებამდე რომ გამოწერეს
 იქნებ როგორმე შეიწვიო ყოფა
 დროდადრო კატის კნავილს ჩამოეკიდო
 იქნებ.

ღე...

ნაგავში ცხოვრებას მივეჩვიე დე
 ხანდახან ვტირი ჩემს დაობებულ კუნჭულებს
 საოცარი შეილება მყავს დე
 ჩემს არაფრობას უფროხილდებიან და ესათუთებიან
 მარილიან საჭმელს ვერ გადაეჩვია ჩემი უხეში სული
 მთვრალი ვმართავ მანქანას ხშირად და
 მუხის ფესვებზე ვფიქრობ
 მერე იწყება მზის ამოსვლა და ჩასვლა
 ხელების კანკალი დამჩემდა დე
 ჭიქები წკრიალებენ ამ დროს
 ვირთხებს უხარიათ დაობებული ფიქრები
 ჩემს საფლაგზე იწყებენ ცეკვას
 ტყუილით კედლები არ შენდება დე
 შენც ვერ გპოულობ ხანდახან
 სიმწვანეს ეტრფის ჩემი ხელები
 სამარედან ამომყავს საკუთარი თავი
 ტყეში სახლი რომ ავაშენო
 სტრიქონები გამიმუქდა დე
 ნამიყვანე.

ნაკარნახევი მარადისოვა

დამარცხებული საკუთარ სულს ვხვდებავ
 ხელებით და ისე გიხმობ
 რაც არ ჩანს ვიცი გაცილებით უარესია შენი ტუჩები
 ჩემს ყურთან რომ ყოველდღიურად
 ჩურჩულებენ სამოთხის სიტკობს
 შორია ზოგჯერ
 გათანგულ ფილტვებს სუნთქვა
 ისე არ ეკარება უცეცხლოდ ვინვი
 ხანდახან ვხვდები სიკვდილსაც უნდა დავუჯერო
 ნისლებს გავუსწორო თვალები
 ამ დროს კიდევ უფრო მატულობს კოცონის სუნი
 კიდევ უფრო მძიმდება მთები ფიქრებით
 და ეგუები ნაკარნახევ მარადისობას.

თვალაში ჩამდარი მთვარა

ის ქალი მოკლეს
 მთვარიან ქალაქს შეჰყმულიებს მისი ნათელი
 და ფანტელეებიც ფეხაკრეფით ათობენ ღამეს
 როგორმე ტანჯვა რომ დააინყონ
 ის რაც უთქმელად დაიხარჯა
 რითაც კედელი გადავლებეთ
 კარს სახელური გავუკეთეთ და შევალეთ
 ვარსკვლავებმა დაიმასხოვრეს
 მას მერე ჩადგა მთვარე თვალებში

მთის ფერდებზე ინვალა ნისლმა მაინც ვერ შევძელით
 მშობლების შესმა მხრებზე
 წარსულში მოგზაურობა
 გაცილებით დიდ ხარჯებს იწვევს
 უფერულ მომავალზე ენერჯის დახარჯვა არ ღირს
 ამიტომაც მოკლეს ის ქალი.

გაყინული მდინარა

დავჯდები და დაგაკვირდები მაშინ როცა
 მელანში შენი ტანის რხევა ირეკლება
 ვცდილობ გამოგკვეთო ჩემში
 შენ კი ყოველ ღამით როცა მძინავს
 ჩუმად იპარავ ჩემს ოცნებებს
 ბუხარში წვავ და ხელებს ითობ
 მერე ყოველ წელს ვებრძვი სიცივეს
 იძულებით ვკრეფთ ნაფეხურებს ერთმანეთისას
 რომ დავადართო
 იქნებ გაზაფხულის ირიბ ხნულებს დავლოდებოდი
 თოვლიც გამხვალყო
 გაყინულ მდინარეში ტერფები არ თბება.

მონატრავული სუნთქვა

შენი თვალები სიმწვანეს თამაშობდნენ ერთ დროს
 ერთმანეთის მოლისფერ ფიქრებს ვინანთებდით
 ეჭვმა სიზმარშიც იცის მოსვლა
 თითებზე ჩამოვთვალეთ რაც იყო
 რაც უნდა ყოფილიყო ისიც
 დაიჭია ზეცამ სიცხადე იქნებ ამიტომაც გავიქეცი
 და დაგიტოვე დიდი დრო
 დიდხანს არ ვახელი დახუჭულ თვალებს
 გორაკებს მიღმა ცხოვრება მდორეა და მშვიდი
 აქ შეგიძლია ცხოველებს შეეხიზნო
 მათ თვალებში დაიღო ბინა
 გაყინულ თითებს აღარა სურთ წარსულის შექმნა
 ზონარშეუბნეველი ბათინკები
 მარტივ თამაშს თამაშობენ აქ
 შენს მონატრებულ სუნთქვას
 ვსუნთქავ გორაკებს მიღმა.

დაელოდე

ვინ ვინ ცხოვრობდა იმ დროს ჩემში რატომ ვტიროდი
 ეს სახეები საიდან თოვდა ზამთარში ჩარჩენილი ჩიტები
 დაუნდობლად კენკავდნენ სხეულს ეს გადარჩენა იყო
 შენ მაიძულე შევიცოდო მათი შიმშილი მათი სიმანხვე
 მათი შეციებული სიშიშველე
 მარტივ ნაკვთებს ვერ ითავსებს
 ჩემი ხელები არც ბილიკის გაფერადებას ვარ ნაჩვევი
 ამიტომაც უნდა ნახვიდე
 ერთფეროვნების საბურველმა რომ არ დაგახრჩოს
 აქ სიკვდილის შემდეგ ცოცხლობენ
 დანალმულ ველზე გულგრილად აბიჯებენ
 ერთი და იმავე დუმილით იკვებებიან
 იქ ზღვის პირას რა იცი
 ტალღა რას გამოიყავს შენთვის
 დაელოდე.

საქარე მინა

შავი ფიქრებით დამძიმდა სერი და კვლავ იწყება
 სულის ხარშვა ვიცი რომ მთვარე თავის ცოდვებს ღამეს გაუთევს

ამიტომაც ვიბრძვი გადარჩენისთვის
 ამიტომაც მსურს მოგატყონ
 ერთად გამოძერწილი მომავალი
 სხვათა თირკმელებს შენივე
 შეიცოდე მე დუმილით სავსე რეცეპტი
 მისახსოვრა დროებამ ღეჭვით ჭამამდე
 ასე ნაკლები იქნება გულისზიდვა
 ეს გზა ნავალი გათელილი ბევრის (მრავლის)
 და ბევრჯერ გადასაყლაპად მაინც მძიმეა
 შენ ითხოვ ნავშალი ყოფითი ნაფეხურები
 მივატოვო და ნამოვიდე
 ერთობ მძიმეა თვლებიანი წამოსასხამი
 მარგალიტებში ჩემი შვილების
 თვალები კიაფობენ მიჭირს უარი ვთქვა
 ამ მზეზე შენგან გამოგზავნილ სხივებს ვეკიდები
 ამიტომაც ნონასწორობადაკარგული
 ვრჩები ბენვის ხილზე მაინც
 ისინი ჩემი გონებით იკვებებიან სული შენია
 შენთვის და შენით გამოგონილი
 არადა როგორ მიხაროდა დათესილი ბოსტანი
 ჩემს ცხოვრებაში ყვავილები არასოდეს ხარობდა
 ველურ ქონდარს ესწრაფიან თითებიც
 და ივსება თეთრი შავით
 ნისლით თავნაკრული ბაღდათის მთები
 მაინც ახერხებენ ჩემამდე მოსვლას
 მათ ბარხატოვან მკერდზე
 გათენებულ ღამეებს გიტოვებთ შვილებო
 მეტი ღირებული არაფერი მაქვს რომ გამოგკვეთო
 მაპატიეთ.

ღიმილი შენი სასჯელია

ეს მზის ამოსვლა ვის ვაჩუქე აღარც კი მახსოვს
 სუნთქვაშეწყვეტილს დანანებით მთვლემდნენ ხეები და
 ნაპრალებში ჟონავდა წყალი
 მივხვდი როგორც კი აღარ გათენდა
 სხეული უნდა ამეკრიფა
 წარმოსახვითი სითბოდან და ყინვას უნდა შეეგუებოდი
 ალბათ ამიტომ ავიდგი ფეხი
 ნაადრევად შევაკონინე დამტვრეული
 დღეები და ამოგხედე
 აქ ჩემს ქოხში ხორციელი სიცივე ხარობს
 არც თოვლს ამოკვეთს
 გაზაფხულის მახარობელი მაგრამ ხელები
 მაინც გრძობენ
 მდორე ბლანტ სითხეს რომელიც კვებავს ავადმყოფურ
 ცნობიერებას და ჩემს მკვდრებს ველი რომ დამმარხონ
 კატა შესჩივის „ხიდან ხეზე გადაფრენილ ჩიტს“
 მოხელთება არ უხერხდება
 ეს მზის ამოსვლა ვის ვაჩუქე აღარც კი მახსოვს.

ჩვენი შეხვედრის ამინდი

ამ თვალებს მიღმა ვიცი თნელი უფსკრულებია
 გულს ისევ მიგლეჯს შენი ლურჯი კაპილარები
 და გათენებაც
 დაღამებას აჭარბებს მუდამ
 ბნელ ღამეებში გაჭედული ჩემი ფიქრები
 მხოლოდ შენში ეძებენ ნუგებს
 პირქვედამხობილს სუნთქვა ძნელად თუ მეხერხება
 მოუცლელობაშეპყრობილი გისმენ და გისმენ
 დარბაისილი მოხუცების სხივანათელ ღიმილს
 დავუჯერო თუ დროულად დავიხრჩო თავი
 ყეფაყოლილ დღეებს დათვლა არ უწერიათ
 და თუ ზეცაში
 ფესვებს ვითვლი რა მოხდა ამით
 ამ დროს ვივსები შენეული სიცარიელით
 ჩემი თითები გამუდმებით ეძებენ შეგებას
 ახლა ცრემლების შენახვის დროა ვიცი
 მარიგებ და მიმეორებ ტყეს ხმირსა და უკიდევანოს
 დამარცხება თუ უწერია
 მხოლოდ თავის დაძვრენაა ამაზე ფიქრი
 უბედურ მგზავრს
 შემეხიზნებ.

ფხვარეული მთაში

თავში კაკუნს ქმნიან სიტყვები
 დამალა ჩემმა მინამ ჩემმა სამშობლომ
 თქვენ სახეს სახე არ გააჩნია
 ჭიანჭველები უკეთეს სახელმწიფოს ქმნიან
 მუდმივად ცოცხლობენ და ცხოვრობენ
 აქედან გარბიან დარჩენილნი კი ყოველ დროში
 მომავალზე მიჯაჭვული თვალებით არსებობენ
 სასურველ აწმყოს არასოდეს არ უჩანს პირი
 და დაობებულ
 წარსულს გვთავაზობენ საკვებად
 ამიტომაც გაუჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე ქვეყანას
 გამოსავალი მოკვეთა ამიტომაც გასხვისდა სხეული
 დროა ფეხი აიდგათ მთებო და
 წინაპრების ძვლების ჭამით დალილებს
 გზა გვიჩვენოთ
 დროა.



გოგა ქყონია

ან როგორ შეძლებს თექვსმეტი ბნკარი, ახსნას ღმერთების უღვთო თამაში? სამყარო სულაც არ არი მყარი. ახალი, აბა, რაა ამაში?..

შენი ხმით

ცეცხლმა
ნაშალა
ცისა
ლაჟვარდი,
კვამლით
აღგავა
სილურჯე
მისი.
რომ
არ მოგინდეს
კვლავაც
ნავარდი,
რომ
მუდამ
გდევდეს
ბული
და ნისლი...

ცეცხლმა
ნაშალა
ცისა
ლაჟვარდი,
გააფერმკთალა
ზეცა
კაი ხნით.
ხმას ნუ იბოხებ,
ძმარო
ქიშვარდი,
თუ მღერ —
იმღერე,
მაგრამ
შენი ხმით...

ბროდსკის

მშვიდობით,
ნუ განმსჯი —
ამოდ მცდიდი.
წერილები კი დანვი...
ხიდები.
იყოს შენი გზა
სადა და მშვიდი —
არაფერი გაქვს მოსარიდები.
ბნელში ხედავდე ბედის ვარსკვლავებს,
ნაპერწკალს ყრიდეს შენი აბედი
და შენს კოცონთან ითბობდეს ხელებს
თვითონ იმედი,
თვითონ იმედი.
არ შეუშინდე ქარსაც
და ოდეს
დაგტრიალებდეს ღრუბელი თავზე,
ბედის წყალობა მეტი გქონოდეს
ჩემზე და სხვაზე.
ჩემზე და სხვაზე.
იყოს ძლიერი და შვენიერი
მკერდში მქუხარე ცემა და ტაში...
მე მათ მაგივრად ვარ ბედნიერი,
ვინც იქნებ,
ვინ იცის,
გმეგზურობს გზაში...

გულს გააქვს ბაგა-ბუგი,
ფეხი ვერ წვდება ფსკერს,
შორი, მბჟუტავი შუქი —
ვერ ეღირსები მზეს!
ყურში სიჩუმე წუის —
გაბმული ნოტა „სი“...
ლაპარაკობს და ტყუის
რადიო-თბილისი.

ორამირა

ჩვენ სიჭაბუკემ გვატარა,
თვითონ კი ფერმკთალდებოდა
და სპირტით საფხე მათარა
ბოლო იმედად რჩებოდა:

ის, ფართხა-ფურთხით ნავალი,
ფეთიანი და მტარვალი
დრო, როცა სიკვდილს შეები —
მძაფრი გრძნობების დღეები.

და არ გახსოვდა „ომამდინ“,
ნისლი გფარავდა ლაბადით,
დოდო წითელი პომადით,
ბაჭია შავი ნაბადით.

კამათელი

„დღები ბრუნავს, ვით კამათელი.“
გალაკტიონი

დღენი მიგორავს, ვით კამათელი,
კვლავ ნიშანს ველი, კვლავ ველი ნიშანს.
მწვანედ მზინავი კამკამა ველი
ისევ შეცვალა უდაბნოს ქვიშამ...

ყველა პეიზაჟს თავისი დრო აქვს,
ფერი კრაპლაკის, ოხრის, მელანჟის...
არ იცი, რომელს სიმშვიდე მოაქვს,
ან რომელია ბოლო პეიზაჟი?

ის კი მიგორავს განგების ნებით —
ნუგეში — დარდი, დარდი — ნუგეში...
ამოისუნთქავ თუ არა შევებით,
ეხლა რომ დაჯდეს თუნდაც დუბეში?

ცხადია, არა. რადგან თამაში
უსასრულოა, როგორც სამყარო.
და უნდა ჰპოვო აზრი ამაში,
სულში მშვიდობა რომ დაამყარო.

ყველა თავის დარდს თვალეში კოცნის,
ძალა არა აქვს თმენის და მოცდის.
სიკვდილის მერე — ფიქრსაც ვერ ბედავს!
სიცოცხლის მერე — სიცოცხლის დედაც!

რა მოხდა, ძმარო, ბოლოს და ბოლოს,
ეს ხო შორეთის ტალღაა მხოლოდ,
ფიქრი, რომელიც ძალღივით მისდევს
სხვისი ფიქრების ძონძებს და ნისლებს.

ქვეყნიერებას, ზეცას რომ ერთვის,
ჩვენი ძიება აზრის და ღმერთის,
სულ ცალ წახნაგზე ისე ჰკიდია,
როგორც სამჯერ ცხრა ოცდაშვიდია...

სამყარო სულაც არ არი მყარი,
მერყევი ბინდი უფრო ბინდდება.
არასდროს იყო, რაც ახლა არი
და არასოდეს აღარ იქნება.

ხუნდება ფერი, იზრდება ბზარი,
იცვლება ქარი, ფილოსოფია...
სადაც სოფლის იყო ტაძარი
დგას ისტამბულის აია სოფია...

ზეციურ არქივს შერჩება ნეტა
შენი თვალეების ფერი და ელდა?
ანდა ნათება გარდაცვლილ მზეთა,
ან ამ სტრიქონში ჩაღვრილი სევდა?

ჯარისკაცის ძილისპირული

ძინავს ქვეყნის დაღლილ სათამაშოებს,
ნეტარებას არაფერი აშორებს.
ძინავთ ნაქებ მარშალ-ღენერალებს,
ისინი რო მოიფშენეტენ თვალეებს,
ფაფუ ქვეყანა...
ნა-ნი-ნა...

ღენერლებს გონია თავი ღმერთები,
განუმეორებელ-ერთადერთები...
ის კი, ვისაც ღმერთობა ეგების,
იღიმება, ვინ იცის, ეგებ ის.
რამ შეგაშინა?
ნა-ნი-ნა...

ნუხელ იყო ომი დაუცხრომელი,
აღარ გვყავდა პატრონი და მშობელი.
რაც გვეგონა, არ ყოფილა ესე —
მგლის ხახაში ჩვენ რომ გაგვამნესეს,
სხვათ ხეირი ქმნა...
ნა-ნი-ნა...

კაცს ჭირდება დანდობა და შენდობა,
ვისაც ებარება, იმას ენდობა.
ვისაც ებარები — ევედრები:
„ღირსეულად ნუთისოფლის გზები
გამატანინა“...
ნა-ნი-ნა...

მშვიდად ძინავს გორებსა და მაღალ მთებს,
შენი ძვალეც ამ მიწაწყალს ამაგრებს.
ცოცხალიც და მკვდარიც ნატრობ — ლელო,
კიდევ ერთი ლელო საქართველოს
გაგვატანინა...
ნა-ნი-ნა...





გაგრძელება

ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეპოზიტი-ყივჩაღი



— როგორ ბედავ, შენი უბადრუკი გონებით განსაჯო ის, რაც ზეცაში წყდება?.. ნუთუ არ გსმენია, რომ მიუწვდომელია გზანი უფლისანი და შეუცნობელი ნება მისი? ვის შეუძლია უბრალო მოკვდავთაგანს, შეიცნოს და განსაზღვროს მაღალი ალლაჰის განგება?.. ნუთუ არც ის გსმენია, რომ ღვთის ნებისადმი უსიტყვო მორჩილება მართლმორწმუნე მუსლიმის ყველაზე დიდი სათნოება და უდიდესი სიმამაცება?.. და გაცილებით უფრო დიდი ვაჟკაცობა, ვიდრე ეს თქვენი სულელური და ბავშვური ხმლის ტრიალი? — და არაბმა მულლაჰმა იბრაჰიმმა კვლავ გააპარა თვალები ჩემი ძველი და ერთგული ხმლისკენ, — განა, თვით წმინდა სიტყვა „ისლამიც“ მორჩილს, მორჩილებას არ ნიშნავს? განა, არ იცი, რომ ნებისმიერი ამბოხება და ძალადობა, თუ ეს სარწმუნოებრივი ომი, წმინდა ჯიჰადი ან ღაზავათი არ არის, სძაგს ყოვლადმონყალე ალლაჰს, რადგან იგი ჭეშმარიტად ყოვლადმონყალეა და მიესალმება კეთილისმოქმედთ, მონყალეთ და მშვიდობისმოყვართ — ვა სალამ ალეიქუმ — ნებისმიერი ხელისუფლება ღვთისგან არის და მისი მორჩილება გვმართებს. თუ ის ბრძენი და სამართლიანია, ეს უზუნაესის წყალობაა და თუ ბოროტი და უსამართლოა, უნდა ვიცოდეთ, რომ ესეც ჩვენი საშინელი და მოუტევებელი ცოდვებისთვის მოგვივლინა უფალმა სასჯელად. ხოლო თუ ყველა უბედურებასთან ერთად, ურწმუნო და უღმერთო მბრძანებელი მოგვივლინა, ესეც ჩვენი ბრალია და უდრტვიწველად უნდა მივიღოთ დამსახურებული რისხვა. ძალადობის ძალადობით კი არ უნდა ვუპასუხოთ, წმინდა ნიგანი უნდა გადავშალოთ, ლოცვები გავაძლიეროთ და მაღალ ღმერთს ვთხოვოთ, გვიხსნას მტარვალისგან და მისი ტირანისგან. ლოცვა, ლოცვა, ლოცვა — აი, მართლმორწმუნე მუსლიმის მთავარი ძალა, სასოება და იარაღი. შენ კი, ბაბურ, გახსოვს, ბოლოს როდის იყავი ჩემთან მეჩეთში და როდის ალაველინე ლოცვა?.. ო, უმეცარო, მე ვიცი, რომ შენ წმინდა ყურანს დიდი ხანია მივინყებ, უმაქნისობის და ურწმუნობის მტვერი ადევს. შენ, შენ მეგობრებსა და ახლობლებს გიხარიათ, რომ ცოცხალი გადარჩი, თუმცა ცალი თვალით დაბრმავდი და დასახიჩრდი. სულ ტყუილად კი გიხარიათ, რადგან იცოდე, ბაბურ, სწორედ ახლა ხარ ცოცხლად სატირებელი. ყური დამიგდე და კარგად დაიმახსოვრე — ვინც სამი დღის განმავლობაში, რაიმე საპატიო მიზეზის გარეშე, არ გადაშლის წმინდა ყურანს, ის ალლაჰისგან მიტოვებულია და მარტოსული..

— კარგი და, აი, ახლა კი მე მისმინე, ო, არაბო მულლაჰ იბრაჰიმ, — თან თითებით ისევ ჩემს ბავშვურ და სულელურ ხმალს ვეფერებოდი, რომლის შეხებაც რატომღაც გაცილებით უფრო მამშვიდებდა, ვიდრე წმინდა ყურანისა, — ეგ ყურანი ჩემი საბრალო მამის ჯემალ ად-დინის ნაქონია. ისიც უნდა მოგახსენოთ, ო, ღრმად პატივცემული მულლაჰ, რომ ცხოვრებული მამაჩემის ხელში ამ წმინდა ყურანს არა-სოდეს დასდებია „მივინყების, უმაქნისობის და ურწმუნობის მტვერი“, — ჯიბრით გავეშვით თავისივე სიტყვები, — რადგან რაც თავი მახსოვს, მთელი ცხოვრება დღემდე ხუთჯერ ლოცულობდა, უმკაცრესად იცავდა რამადანის მარხვას, თუმცა ხსნიდის დროსაც ლუქმაპური ენატრებოდა და თითქმის გამჭვირვალე დაიარებოდა ამდენი შიმშილისგან, დღემდე ხუთჯერ ლოცულობდა და ისედაც ამდენი ჯაფისგან გადაქანცული თუ მცირეოდენ დროს ნახავდა, მაშინვე ყურანს მიუჯდებოდა და მის კითხვაში ჰპოვებდა შევას. სწორედ წმინდა ყურანით მასწავლა მამამ მეც წერა-კითხვა, ალლაჰიმც ნუ დაივიწყებს მის უკვდავ სულს. დრო კი ყოველთვის ძალიან ცოტა ჰქონდა, რადგან ერთი საწყალი მეთუნე იყო. ესეც იცოდე, ო, ღრმად-პატივცემული არაბო მულლაჰ იბრაჰიმ, რომ საწყალი მამა მთელი ცხოვრება დღემდე დაღამე თავაუღებლად, ცხრივით, მუშაობდა, რომ ჩვენ გამოვეცვებეთ, გადასახადები გადაეხადა, მათ შორის — თქვენი გადასახადები. ხელები სულ გადატყავებული და გაშეშებული ჰქონდა იმდენად, რომ ბოლოს თითებსაც კი ვეღარ ხრიდა და მოფერებით გადაპარსულ თავზე რომ

გადამისვამდა ხელს, უნებურად თავს ვხრიდი და ტკივილისგან ვიჯღანებოდი, კანს ხრეშვით მიკანარავდა მისი გაუხეშებული, დაიარებული ხელისგული. მთელი ცხოვრება ასე საპაღონე საქონელივით მუშაობდა, როგორმე თავი რომ გაეტანა და მინც სულ მშიერ-მწყურვალე და უპოვარი იყო და იმედიც კი არ გასჩენია, რომ როდისმე სულს მოითქვამდა. ერთი ეს გადაფერდებული ქოხი ებადა, შიმშილით პირდაფრენილი ცოლ-შვილი — მე და დედაჩემი — ეს პაპისეული ხმალი, რომელიც გასალეხად და დასაფერადაც კი არ ამოულია არასოდეს ქარქაშიდან, რადგან ჩემგან განსხვავებით, ბრძოლისა და ამგვარი ბავშვური გართობისათვის არასოდეს ეცალა, საკუთარი ნაჯაფარი ხელები, ათასი გაჭირვება და უბედურება — აი, ეს იყო მისი იარაღი. და, აი, ამ გაჭირვებისა და სიღარიბის მიუხედავად, ან იქნებ სწორედ მაგიტომაც, ყოველთვის განუხრელად იცავდა ალლაჰის ცნებებს და ყურანის შეგონებას. ყოველთვის განიკითხავდა უპოვრებს, თუმცა თვითონაც არაფერი ებადა. უკანასკნელ სპილენძის დირხემს, უკანასკნელ ლუქმა-პურს მიანვდიდა მოყვასს და თავის ძველ, გაცვეთილ, ცხოვრებული დედაჩემისგან ათასჯერ დაკემსილ ჩეჩქებსაც გაიხდიდა, ვინმეს რომ დასჭირვებოდა, თავად შიშველი დარჩებოდა და მამინაც დიდებულ ალლაჰს ადიდებდა. სიცოცხლეში არავისთვის უწყენინებია საწყალს, ყველას ეხმარებოდა, ხელს უმართავდა, როგორც შექმლო, პასუხად კი უმადურობის, დამცირებისა და შეურაცხყოფის მეტი არაფერი მიუღია. არც ამაზე დასცდენია არასდროს საყვედური, არც თავისთვის, არც ჩვენთან სახლში, დაუმსახურებელ შეურაცხყოფას რომ მიაცენებდნენ და დაამცირებდნენ, წყენისა და უმწიბრობისგან ტუჩები აუთრთოლდებოდა და ეგ იყო, — უცებ ვიგრძენი, მეც ზუსტად მამაჩემივით როგორ ამითრთოლდა ტუჩები და ორივე თვალი — ხილულიცა და ამოთხრილიც წყენისა და სიბრაზის ცრემლებით ამევსო, — წმინდანის სწორივით ცხოვრობდა. სამაგიეროდ კი, მისი ერთადერთი მეგობარი, ნუგევისმცემელი, პატრონი, მესაიდუმლე და მოყვარული მისი ცოლიც უფალმა მიიბარა და დაქვრივდა. ამის შემდეგ მცირენლოვანი და დაობლებული ბიჭი დამტოვა და თავად ქალაქში სამუშაოდ წავიდა იმ იმედით, რომ ორიოდე გროშს, ორიოდე ჯამ ბრინჯს იშოვიდა და გამოემკვებავდა. წავიდა ჩემი ბედკრული მამა და უგზო-უკვლოდ გადაიკარგა, იმის მეორე აღარ გამოჩენილა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენ ყველამ კარგად იცით, სად არ ვექებე, სად არ ვიკითხე, მაგრამ კვალსაც ვერ მივაგენი. ჩემდა სამარცხვინოდ და საუბედუროდ, ისიც კი არ ვიცი, ჩემი ღრმად მოხუცებული, თეთრწვერა მამა რომე-

ლიმე ბაზრის კართან მოწყალეობას ითხოვს და ავარა ბიჭები დასციინიან, რომელიმე ავმა ბეგმა ან გასიებულმა ხანმა ზინდანის ჯურღმულებში ჩააგდო, იმით გაბოროტებულია, რომ გაღლეტილი ბერიკაცს ვერაფერს გამოჩინა, თუ რომელიმე დიდ გზაზე უპატრონოდ მიაბარა თავისი უცოდველი სული შემოქმედს მარტოდმარტომ. აი, ვინ იყო სრულიად მარტოსული და მიტოვებული, არაბო მულლაჰ იბრაჰიმ, მიუხედავად იმისა, რომ მის ყურანს არასოდეს „მივინყების, უმაქნისობისა და ურწმუნობის მტვერი“ არ დასდებია, — და მე ისევ ავად გამელიმა, — აბა, თუ ვინმემ მოიკითხეთ უმწეო და სათნო ბერიკაცი, ან თქვენ თუ გიკითხავთ ჩემთვის ჩვენი შეხვედრისას მისი გზა-კვალი, თუ დაინტერესებულხართ ან ერთი ლოცვა მანც თუ ალგივლენიანთ მისი ტანჯული სულის მოსახსენიებლად?.. არასოდეს! არასოდეს, ვის რაში გენალვლებათ მოხუცი, უმწეო და დაკარგული მეთუნე ჯემალ ად-დინი?.. ვის გახსოვთ ერთი საწყალი, მორჩილი და სათნო ბერიკაცი? მე ასეთი მარტოსული არასოდეს ვყოფილვარ და არც არასოდეს ვიქნები. აგერ, უბედური მამაჩემისგან განსხვავებით, მოდიხართ, მნახულობთ, ძღვენიც მობრძანდით, მკითხულობთ, ალლაჰიმც დაგიმადლებთ, ბრძენი ჰაქიმო ჰაფიზულა დურანაჰმადიც უსასყიდლოდ მკურნალობს, მომარჩინა და თავს მეველება. ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოთ ყველას, მაგრამ ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ხმალი დავატრიალე და ბრძოლაში თავი გამოვიჩინე? ბრძოლაში თავის გამოჩენა კი, არაბო მულლაჰ იბრაჰიმ, სხვა არაფერია, თუ არა კაცის კვლა და მტრის სისხლის სმა. აი, ის მტერი კი სხვა არავინ არის, თუ არა ჩვენი მოყვასი და ძმა, რადგან ჩემზე უკეთ მოგესხენებათ, ო, პატივცემული მულლაჰ, რომ ყველანი ადამის შთამომავლები და მისი ძეები, ასულენი ვართ, მაგრამ მტერს, ამ შენს თანამომესს, ალლაჰის წინაშე თუ არ მოკვლავ ბრძოლის ჟამი თუა, მაშინ ეს შენი თანამომე და მოყვასი დაჰკიდებს შენს მოჭრილ თავს ცხენის უნაგირზე და ამაყად წააკონწიალებს სახლში და ახლა მასთან მივა მათი ყიშლალის ბრძენი, თეთრწვერა მულლაჰ ყიშლალის ბრძენი დარბაისელი მულლაჰ, ძღვენიც ხოტბას შეასხამს, ადიდებს და მტერზე გამარჯვებას მიულოცავს. ვინც თავს არ სწირავს და თავის უბადრუკ სიცოცხლეს უფრთხილდება, ის ვერასოდეს გამოჩნდება, პატივცემული მულლაჰ, ხოლო მტერთან — შენს თანამომესსთან და მოყვასთან — ბრძოლისას, ამაოა სიბრალული და მშვიდობის ქადაგება. ხევენა-მუდარით მტერს თავს ვერ შეაბრალებ და ვერც გულს აუჩუყებ... უფრო მეტად დაგცინებს, მეტს წაგართმევს და ყელსაც უფრო მეტი ზიზლით გამოგჭრის. მტრის დამარცხება კი, სამუხ-

აროდ, მხოლოდ მისი სისხლის დაღვრით შეიძლება, ღრმად პატივცემული მულლაჰ იბრაჰიმ, თქვენც კარგად უწყით, რომ სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. სწორედ ამიტომაც მინახული ამდენჯერ, — და მაღლობის ნიშნად კვლავ თავი დაუქარი, — თუმცა მშვიდობიანი და ნამდვილი მართლმორწმუნე მუსლიმი მამაჩემი ჯემალ ად-დინი ერთხელაც არ გიხსენებიათ არავის. ამიტომაც გაკადრეთ ეს შეკითხვა — ნუთუ ყოვლად ძლიერი და მაღალი ალლაჰი და მისი მსახური წმინდა ულუმები და მულლები ჩემნაირ მკვლევებს და სისხლისმსმელებს უფრო მფარველობთ, ვიდრე წესიერ და მორჩილ, უწყინარ ადამიანებს? ნუთუ ჩვენზე უფრო მეტს ფიქრობთ და ზრუნავთ, ჩვენ უფრო გაინტერესებთ ჩვენი ჭრილობებით და ბრძოლაში ამოთხრილი თვალით?..

ამ სიტყვებზე არაბმა მულლაჰ იბრაჰიმმა ჯერ ჩვენს დამთხვეულ ალლაჰნახარს გახედა და მერე მე შემომხედა ყურადღებით, მეც პირდაპირ შევხედე არაბ მულლაჰ იბრაჰიმს. მულლაჰ უჩვეულოდ ყურადღებით მისმენდა და მოუთმენლად მარცვლავდა აბრეშუმის ფუნჯიან ქარვის კრიალოსანს. აქამდე ასეთი ალელვებული არასოდეს მინახავს.

— მართალი იყო ჩემი ბრძენი მასწავლებელი და ღვთისმეტყველი შეიხი აბდულაჰ ალ-მიათლი ულ-ისლამ, — თქვა გალიზიანებულმა, — სულგანათლული გამუდმებით გვიმეორებდა წმინდა ნიგანიდან სურას: „ჭეშმარიტად, თვით ყოვლადმონყალე ალლაჰის მიმართაც კი უმადურია ადამის ცოდვილი ძე და თავის უმადურობას და უკეთურებას გამუდმებით ადასტურებს სიტყვითაც და საქმითაც.“ ყური დამიგდე, ბაბურ, — ამოიხრა მულამ და უფრო ხმამაღლა განაგრძო, — შენ ავი აზრებით ხარ შეპყრობილი და ძალიან მომეოხის საშინელ გზას ადგახარ. რაკი ერთ ბრძოლაში თავი გამოიჩინე, ნუ იფიქრებ, რომ უძლეველი ხარ, აუცილებლად გადაეყრები შენზე ძლიერს. რაკი რამდენჯერმე გინახულე და აქ ვზივარ და გესაუბრები, როგორც ეს რამდენჯერმე ყვედრებით აღნიშნე, ნუ იფიქრებ, რომ სიბრძნემ გაგინათა გონება და ყველაზე გონიერი ხარ, აუცილებლად შეხვდები შენზე გამჭრიახსა და შორსმჭვრეტელს.

— ბაბური გამჭრიახი არ არის, არა!.. — ისე უცბად აყვირდა ეს დარტყმული ალლაჰნახარი, რომ მეც და არაბი მულლაჰ იბრაჰიმიც მოულოდნელობისგან ადგილზე შევხვით, — ბაბური გამჭრიახი არ არის, არა!.. ბაბური კეთილია, კეთილი! არა, ბაბურ?.. ხო კეთილი ხარ? ბაბური კეთილია, ჩირებს მაჭმევს, როცა მხვდება და კიდევ არასოდეს მიბრაზდება!.. ბაბური კეთილია და ბოროტმა კაცმა თვალი გამოთხარა, მაგრამ ბაბური სამაგიეროდ ყურებს დააჭრის! არა, ბაბურ? ხო, ბაბურ?



— ნაყარა სწრაფად ალლაჰნაზარმა. უკვე თმა ყალყუე დამიდა. ამან ხომ ცალკე ცოცხლად შემქამა... არაბი მულაჰ იბრაჰიმის რისხვაზე და გაკიცხვაზე გაცვილებით უფრო მაკრთობდა ამ ჩამოძენილი გადარეულის სიტყვები და არეული ლაპარაკი. რას ხედავდა?... საიდან?... რომელი ზებუნებრივი ძალა ან ბილნი შაითანი ჩააგონებდა ჩემს ამბავს?... როგორ?... არ ვუბრაზდებოდი კი არა, მულაჰს რომ არ მომრიდებოდა, ამ ხმალს თავის ქარქაშიანად გემრიელად გადავუჭერი ფერდებში. თითქოს ჩემი გაჭირვება არ მეყოფოდა და ახლა ესა და მკლად, ვიდრე მეც არ გადაამრევა და გონებას არ დამიბინდავდა.

თვით არაბი მულაჰ იბრაჰიმიც კი შეაკრთო მისი თანმხლების მოულოდნელმა ქადაგებამ. განრისხებული შეუბრუნდა და ჩუ-ო, ხელით ანიშნა, თუმცა ალლაჰნაზარს აინუნშიც არ მოსვლია არც მულაჰს გაბრაზება, არც ჩემი თვალის ბრიალი. ისევე ისე კეთილად გვიცინოდა ორივეს, მე რამდენჯერმე თვალიც ჩამიკრა. რაკი არ შევიძინე, იფიქრა, რომ ვერ დავინახე მისი მეგობრული ნიშანი.

— ყური დამიგდე, ბაბურ! — სერიოზულად და ხმადაბლა განაგრძო არაბმა მულაჰ იბრაჰიმმა, — ვფიცავ და ვიმონებ ყოველადმონყალე ალლაჰის ასევე უნმინდეს სახელს, რომ ყველა, ვინც ახლა სამარეში განისვენებს, მთელი დედამიწის, მთელი სამყაროს ქონება, ძალაუფლებას და სიმდიდრეს ერთ ლოცვამი — ნამაზში, ალლაჰისადმი ერთ თავყვანის ცემაში — სუდჯუდში (მეტანია) გაცვლიდა! ნელან მსაყვედურობდი, რომ ღვთისმსახურები ყოველთვის მბრძანებლების და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ვემსახურებით, ვადიდებთ და ხოტბას ვასხამთ. შემდეგ კი, როდესაც დაამხოვდა, ან უფალს მიდაბრებს სულს, სულ ერთია თავისი სიკვდილით მოკვდება, რაც იშვიათად ხდება, თუ ჩვეულებრივ, საკუთარი შვილის, მამის, ძმის და თვით დედამიწის დაქირავებული წყეული იზმაილიტი ჰაშიმუნე გამოუსვამს ყელში აღმასივით მჭრელ დანას, რაც გაცვილებით უფრო ხშირია, რუმინად ხატაეთამდე — ცინტაიზის ქვეყანამდე და ჩრდილოეთით მდინარე ითილის იქითა ხალხებიდან ჰინდუსტანის მდინარე სინდამდე. ჩვენ კი, ჯერ ჩვენი მბრძანებლის და პატრონის სხეული რომ არ გაციებულა, უკვე ახალი მფარველის წინაშე ვართ დამხოვბილები, რომლის ხელგასაც ჯერ კიდევ ასდის დაღვრილი სისხლის თბილი ოხშივარი და აღფრთოვანებულები ვადიდებთ, ვუმღერით და მხურვალედ, მუხლების გადატყავებამდე, ვლოცულობთ მისი დღეგრძელობისა და ხანგრძლივი მმართველობისთვის. შენ ასეთ საქციელს, ბუნებრივია, სულმდაბლობად გვითვლი და ფიქრობ, რომ ცამდე მართალი ხარ. კარგი, მაგრამ როდისმე გიფიქრია, რატომ ვიქცევით ასე?... ნუთუ მხოლოდ ოქროს დინარებისთვის, მდიდარი დოსთარხანისთვის და ბეშბარმაქის მსუყე გამოუღვეელი ლუკმისთვის?... ასე მხოლოდ ბრყევი ფიქრობენ. ბრყევი ხომ არა ხარ შენ, ბაბურ?... არ დაგიმალავ და პირდაპირ გეტყვი — ყველა ეგ სიკეთე, ძვირფასეულობა თუ უზრუნველი ცხოვრება, ჭამა-სმა არც ერთი ფადიშაჰის, სულთნის და ხანის ხელში არ მოგვაკლდება. თვით ყველაზე სულელ მმართველსაც კი კარგად ესმის არაბული სიბრძნის აზრი, რომ დიდი მოგზაურობისა და ვრცელი უდაბნოს გადალახვის წინ აქლემს პირი კი არ უნდა აუკრა, ქერი და შვრითი სავე ბაასთან უნდა დააბა. ისიც კარგად იციან, რომ ერთმანეთის სასიცოცხლო ვჭირდებით და ჩვენ, სასულიერო პირები, კიდევ უფრო აუცილებლები ვართ მათთვის, ვიდრე ისინი ჩვენთვის. აბა, რისთვის ვიმცირებთ თავს, რატომ ვკოცნით მათ წინაშე ხალიჩას, რისთვის ვაქებთ სრულიად დაუმსახურებლად, ვადიდებთ და ვასხამთ ხოტბას? რატომ ვიქცევით ასე?... აბა, დაფიქრდი. თავადვე ამბობ, რომ დამხოვნი მმართველს იმ ნუთას ვივინყებთ და მის შემცველს ვემსახურებით ერთგულად, ვიდრე ისიც საშინელი, უმადლესი სამსჯავროს წინაშე არ წარსდგება და ახლა მისი შემცველის წყალობის ხალათს არ მოვიგდებთ ბეჭებზე. შენი აზრით, ეს უნამუსობაა. კეთილი. ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთ ხელისუფალს, ერთ ტირანს და მის სახელსა და გვარს, მის წოდებას კი არ

ვემსახურებით, არამედ თავად ხელისუფლებას ვემორჩილებით, ვინც არ უნდა იყოს ის. და ეს ჩვენი, როგორც სასულიერო პირების, უზენაესი მოვალეობაა, რადგან, როგორც უკვე გითხარი, უდავოდ და ჭეშმარიტად ყოველივე ყოველადმონყალე ალლაჰის ხელშია და მათ შორის ის ხელისუფლებაც, რომელსაც უზენაესი ღვთად ან სასჯელად მოგვივლენს. დიახ, მართლად გეტყვი შენ, მორწმუნე, გლახაკი მიუნვდომლად მალა იდგება ალლაჰის კარზე განკითხვის უამს, ვიდრე ურწმუნო ფადიშაჰი, მაგრამ ისიც უცილო ჭეშმარიტება, რომ ყოველი გლახაკი და გლეხი, ყოველი ხალხი სწორედ იმ ხელისუფალს იმსახურებს, რომელიც ჰყავს, არც მეტს და არც — ნაკლებს. და თუ ჩვენ, მულაჰები, ულუმები და შეიხები, ყოველ მბრძანებელს ვამხელთ და პირუთენელ სიმართლეს ვეტყვი, პირში მივახლით ღვთისა და ერის წინაშე იმას, რასაც იმსახურებენ, რასაც ისინი სწადიან და რასაც მათზე ვფიქრობთ, რომ ვერაგები, მზაკვრები, სასტიკები, ხარბები, ორპირები, ზნედაცემულები და საზიზღრობამდე ლაჩრები არიან, როგორ სუქდებიან ქოსმენებისთვის მუცელმერთობისაგან, როგორ იქცევიან ცოცხალ ლეშებზე, შენი აზრით, რა მოხდება? იმ უბედურს თავს ნააცლიან, მის ადგილას სხვა მოვა. იქნება განუწყვეტილი ომი, არეულობა, ძალადობა; დაიქცევა ქვეყანა, ქალაქი, ყიშლალი; შეწყდება ხვნა-თესვა; გაღარბდება, გაღატაკდება ხალხი; ჩამოვარდება შიმშილი; ქუჩებში და ორლობებში სისხლის გუბები იდენს... და, პირველ რიგში, შენი და შენაირების თავები გაგორდება, იცოდე, რომლებიც მხოლოდ გულსა სთხოვენ, რაც გონთ აკლიათ. კარგი, შენ და შენი თავგებულადეული ამხანაგები ჯანდაბას, მაინც სადმე უნდა წააგო ეგ ცოდვილი თავი, მაგრამ იმ მშვიდობიან ადამიანებზე, უმწეო ნამუსხადილ ქალებსა და პატარა ბავშვებზე, რომელთა გვამებიც ცხენებით უნდა თელონ მხედრებმა, ვინ უნდა აგოს პასუხი დიდებული ალლაჰის წინაშე თუ არა ჩვენ?... ამიტომაც ვამბობ და ვადასტურებ, რომ ყველაზე ცუდი მშვიდობა სჯობს ყველაზე სამართლიან ომს.

— ძალიან საშინო და შემზარავი ამბები მოყვით, ო, მულაჰ იბრაჰიმ! — ვთქვი და თან მოელი ძალით ვცდილობდი, დამცინავი კილო დამემალა. — მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ — ისეც ხომ მოხდარა, რომ ეს საწყალი, გაბითურებული და დამშეული ხალხი ამბოხებულა და თავად დაუმხიათ საძულველი ხელისუფალი და მისი ნაზირ-ვეზირებიცა და ოჯახის წევრებიც ისე, რომ აღარ დაუცდიათ, ვიდრე ისინი ჩუმად დაღარავდნენ ერთმანეთს ყელებს?! მამ, ესეც ყოველადმონყალე ალლაჰის ნება და განჩინება ყოფილა, რომელსაც ასევე უნდა დავმორჩილდე, არა?... არაბმა მულაჰ იბრაჰიმმა შეშინებულმა გაასახავსა ძვირფასეულებიანი ვერცხლის ბეჭდებით დამიძინებული ხელები და ხმამალა აყვირა. — დიახ! დიახ, რა თქმა უნდა! ყოველადმონყალე ალლაჰის, ერთადერთი ღმერთის, რომელიც არც დაბადებულა და არც დაუბადებია, ყოველივეს გამგებელია და გულთამხილავი! დიახ, მისი ნების გარეშე არაფერი არსებობს არც დედამიწაზე, არც ზეცაში, არც ზღვებსა და ოკეანებში. დიახ, ესეც მისი ნება იქნება მოვლენილი უკიდურეს სასჯელად ჩვენი საზარელი ცოდვებისთვის. შენ კი, ო, უბედურო ბაბურ, საშინელ და ღვთისმგმობ აზრებს შეუპყრიხარ, რისთვისაც პირველი სასჯელი და უფლის გაფრთხილება უკვე მოგეგო! — არაბმა მულაჰ იბრაჰიმმა არად ჩააგდო ჩემი განრისხებული მზერა და სახის გარდამავალ ჭრილობაზე მიმანიშნა. სიმწრისგან კბილები რუხი მგელისებრ დავაღრჭიალე, — დიახ, თუ ხელები, რომ ეს ღმერთის მინიშნებაა, გონს მოეგო. ესენი ხშირად, — ხელუკუღმა მიმანიშნა ალლაჰნაზარზე, — უფლის ნებით გვესაუბრებიან და გვაფრთხილებენ. დაე, ვისაც ყური აქვს, ისმინდეს და ვისაც თვალი აქვს, დაინახოს. რას ამბობს ალლაჰნაზარი, ბაბურ? რატომ ამოიჩემა შენი ჭრილობებიდან დასახიჩრებული თვალი? მხოლოდ იმიტომ, რომ შენი იარებიდან ყველაზე თვალშისაცემია? ა, ბაბურ? არაფერი გაქვს სათქმელი? „მაინც გამთქვა ამ შეჩვენებულმა ალლაჰნაზარმა და ჩამაგდო ამ ძალთაპირი მულაჰის ყბაში“ — ვიფიქრე გაცოფე-

ბულმა. თან ისევე გამთანგავმა და ძარღვების დამადუნებელმა შიმში შემიძპრო, დაჭრის შემდეგ რომ დამჩემდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი მტრის მოძებნასა და მოკვლაზე ვფიქრობდი. ჰაშიმ-ნაჭამივით ვიბანგებოდი და ვწყებოდი, ოღონდ სასიამოვნო ნეტარების ნაცვლად გულ-ღვიძლის გამყინავი სიცვიე მიტანდა, თითქოს ზინდანის ჯურღმული ვეგდე და მზის მაცოცხლებელი სხივის გარეშე დარჩენილი ზეზურად ვიყინებოდი.

— არა, ო, პატივცემულო მულაჰ იბრაჰიმ, მართლა არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი, თორემ როგორ გაგიბედავდი რაიმეს დამალვას ან თქვენს სიბრძნეს და გამჭირახობას რა დაემალება, — ნავიზურტყუნე საქციელ-ნამხდარმა. აქამდე ყოჩაღად ვიყავი, ახლა კი ალლაჰის წინაშე პირდაპირ ორ ცოდვაში ვტუცე ფეხი — ჯერ ერთი ურცხვად მიველაქუციე ამ გაფუყლი არაბ მულაჰ იბრაჰიმს, თითქოს ვევედრებოდი, შეწყვიტა ჩემი დაკითხვა და ნვალება და მეორეც — იქვე უნამუსოდ და თავხედურად ვცრობოდი. არა, დროზე უნდა წამოვმდგარიყავი ფეხზე, მომეძებნა ის ნაბიჭვარი ნურ მუჰჰამად ბანი, ვიდრე ეს ამბავი საბოლოოდ შემშლიდა და ბოლოს მომიღებდა, — ეს უბედური ალლაჰნაზარი რალაცას როტავს! ჩემზე კარგად მოგესხენებოთ, რომ ჭკუანაკლულია ეს სევედასილი, მისი სიტყვებისთვის ყურადღების მიქცევა როგორ შეიძლება?... ბავშვობიდან მეზრალეობდა, ვათამაშებდა და ისიც მომიშინაურდა, მენდობა და ახლობლად მთვლის, — გალიმება ვცადე და იმედით შევხედე, იქნება დამიჯეროს, ჩემი სიტყვები ირწმუნოს და თავი დამანებოს-მეთქი.

არაბი მულაჰ იბრაჰიმი ბასრელი არაბი იყო და არც ისე ადვილი გასაცნობელი გახლდათ, მით უმეტეს, ჩემნაირი ველების ქარს გამოკიდებული ველური ჯიგიტისგან. ახლაც ყურადღებით მაკვირდებოდა და ნელა და უნდობლად იქნედა სპეტაკ თეთრ ჩალმაში გახვეულ თავს.

— არ ვიცი, ბაბურ, არ ვიცი! — მიიმედ დაიწყო ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — მე კი გული ძალიან ცუდს მიგრძნობს...

— სისხლი დაიღვრება, სისხლი, სისხლი, სისხლის მდინარეები დაიღვრება! — ისევე სრულიად მოულოდნელად და მხიარულად აყიჟინდა ალლაჰნაზარი, თან ბავშვივით თითოდა ილიმობდა.

— ჩუ! ჩუმად იყავი! ხმა ჩაიწყვიტე! — რისხვით დაჰყვირა შეშინებულმა მულაჰ იბრაჰიმმა ალლაჰნაზარს, რომელთანაც თითქმის არასოდეს უნევედა ხმას და ყოველთვის ალერისე ეყვრობოდა, — გესმის? გესმის, რას ამბობს?... მკითხა აკანკალებულმა, — ეს ზენაარის ხმაა, ბაბურ. ვხედავ შაითანს ღრმად ჩაუვლია თავისი შავი კლანჭები შენთვის. იცოდე, არანმინდა ადამიანს სუსტ ადგილებს ურჩევს და სწორედ იქ უძვრება — ძუნწებს სიხარბის ცოდვამი ადგებს, — აქ მომეჩვენე, რომ არაბი მულაჰ იბრაჰიმი თავადვე შეცბა, — პატივმოყვარეებს ამპარტავნების ცოდვამი, მრუშებს — გარყვნილების, მრისხანეთ და ამპარტავანთ კი შურისგების ცოდვამი! — აქ უკვე ყურადღებით შემომხედა, — მე შენი ამოთხრილი თვალი კი არ მაინტერესებს, არამედ ის, რასაც ამის გამო ჩაიღვე. როგორ ფიქრობ, რაზე ოცნებობენ გარდაცვლილები? ოქროზე?... ცხენების რემასა და უთვალავ ცხვრის ფარაზე? შურისძიებაზე? არა! ისინი მხოლოდ საკუთარი და თავისი შთამომავლების სულს უკვდავებამოცნებობენ და ნანობენ ყოველ წუთსა და წამს, როდესაც ალლაჰს თავყვანს არ სცემდნენ, სუდჯუდს და ნამაზს არ აღასრულებდნენ. როგორ ფიქრობ, საფლავთა შინა მდებარე ჩვენი დები და ძმები რას მოიმოქმედებდნენ სააქაოში, ჩვენს დროებით სამყოფელში, რომ დააბრუნო? შურს იძიებდნენ და თავისი მტრის სისხლს დაღვრიდნენ? არა! ისინი მოყვასის დანდობაზე იფიქრებდნენ! რას მოიმოქმედებდნენ შეყვარებულები? ისევე ერთმანეთთან შეხვედრაზე, რომ სასიყვარულო თავდავიწყებას მისცემოდნენ? არა! ისინი მხოლოდ ყოველადმონყალე ალლაჰს სცემდნენ თავყვანს და ლოცვას ალავლენდნენ, რადგან გარდაცვლილებმა, ჩვენგან განსხვავებით, ძალიან კარგად უწყიან, რომ მთელი სამყაროს მპყრობელობა, მთელი სამყაროს საგანძური, ყველა მტრის ერთად დამარცხება, ყველაზე დიდი და მშვენიერი სასიყვარულო

ნეტარება მხოლოდ დროებითია. დროებითი და წარმავალი და ალლაჰის შინაარს აღსრულებულ ერთ ნამაზადაც არ ღირს. ნელანდელმა ელდამ და სიძაბუნემ გადამიარა, ამ გადარეულ ალლაჰნაზარის უცნაური და გაუგებარი სიტყვების გამო რომ შემიძპრობდა ხოლმე და ახლა ისევე მხიარულად ვათვალთვლებდი შეპყრობილივით ალტყინებულ არაბ მულაჰ იბრაჰიმს.

— მე კი მგონია, ო, ღირსეული მულაჰ, — დავიწყე დამცინავი ღიმილით, — რომ როდესაც საყვარელ ქალთან ვცხვრობ და ერთმანეთს ვეალერსებით, როდესაც ერთმანეთს ვერთდებით და სიყვარულისგან და ვნებისგან თითქოს ერთ სხეულში ვერთიანებით და ყოველივე ცუდს, საშინელსა და ბოროტს ვივიწყებთ და დედამიწა, როგორც დიდი დედა, აკვანივით ირწევა ჩვენს ქვეშ, სწორედ ამ დროს ასე ალავლენ ლოცვას ყოველადმონყალე ალლაჰისადმი და თვით უძირო ლურჯი ზეცა გვიფარავს უფლის ნებით. და მგონია, რომ ღმერთი ყველაზე მეტად ამ დროს იღებს ჩვენს ლოცვას, რადგან სწორედ ასე მრავლდება ადამის ძე დასაბამიდან და ასე იქნება მეორედ მოსვლამდე და ესეც უთუოდ ღვთის ნება და მისი არჩევანია.

— ბაბურ, ო, ბაბურ, ნუთუ საკუთარი თავი არ გეზრალება ასეთი ცოდვიანი აზრებისთვის? არც საკუთარი თავი, არც შენი მშობლიური ულუსი, არც განსვენებული მშობლები და არც შთამომავლობა, თუკი გელირსა?... რამდენ დროს უთმობ ძილს, ჭამას, შენი ვნებების დაკმაყოფილებას, მავნე ფიქრებსა და განზრახვებს, ლოცვისთვის კი დღეში ხუთჯერ რამდენიმე წუთი გენანება. გარდაცვლილებს გიგლოვენ თანასოფლელები, ნათესავები, მეგობრები, ცხარე ცრემლით გიგლოვენ, მაგრამ მალევე მიავიწყდები, ასეთია კაცთა მოდგმის ბუნება და მიპასუხე — როდესაც ცივ სამარეში მარტო დარჩები, ვის სთხოვ შეწყალებას და შემწეობას მაღალი ალლაჰის გარდა? იცოდე, ერთხელ შაითნები ცოდვილს ჯოჯოხეთისკენ მიათრევენ, ცოდვილი კი სულ უკან იყურებოდა უკანასკნელ ნამამდე. მაშინ ალლაჰმა უხმო თავისთან ცოდვილს: — რატომ იყურებოდი უკან? — ჰკითხა ცოდვილს ალლაჰმა.

— უფალო, სულ სხვააირი წარმომედგინე და სხვა რამეს ველოდი შენგან.

— და როგორი წარმოგედგინე და რას მოელოდი? — ჰკითხა ალლაჰმა.

— ო, ალლაჰ, მეგონა, შემინყალედი, მაპატიებდი და მომიტყეებდი ჩემს ცოდვებს, — უპასუხა ცოდვილმა.

— კარგი, მოგიტყევა ცოდვებს და შეგიწყალე, რადგან უსაზღვროა ჩემი სიყვარული თქვენამდე. ო, ადამის ძეო!.. ჭეშმარიტად შეგიწყალე, ვიდრე გეიმედები, მომმართავ და მომიხსენიებ, თუნდაც შენმა ცოდვებმა ზეცას უწიოს, უკეთუ ირწმუნებ ჩემს სახელს და მომმართავ. ო, ადამის ძეო, ისე უზომოა ჩემი სიყვარული, თუკი სასონარკვეთას არ მიეცემი და არ სცემ თავყვანს ილიისს და შაითანს და გოგსა და მაგოგს, არ შეწყვეტ ლოცვას ჩემს მიმართ, მაშინ მე ჭეშმარიტად მოგიტყეებ ცოდვებს და შეგიწყალე. ო, ადამის ძეო, ისეთი უსაზღვროა ჩემი სიყვარული თქვენადმი...

— იცი რა, ო, ღრმად პატივცემულო მულაჰ იბრაჰიმ, — ვუთხარი და პირველად შევანყვეტინე ღირსეულ მულაჰს საუბარი, — სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მაგრამ მე ისიც ვიცი და მინახავს, რომ ეს ცხოვრება ძალიან ხშირად ბორკილებად გადაიქცევა ხოლმე და ეს ბორკილები დროზე თუ არ მიამსხვრიე, მთელი სიცოცხლე მისი თროკალი მოგიწევს და მონად ჩასვლა იმ ცივ სამარეში ასევე მარტო, როგორც თქვენ ბრძანებთ, და მერე ვისაც უნდა აჩვენო შენი ბორკილებით დანყლულებული მავები და კოჭები, აღარავის შეებრალეები ორთავ სოფელსა შინა, რადგან ეს შენი არჩევანი იყო. თავისუფლებაზე ადვილი კი არაფერია. ო, ბრძენო და ღირსეული მულაჰ იბრაჰიმ, უნდა გინდოდეს, რომ იყო თავისუფალი და იქნებო თავისუფალი! ახლა კი მომიტყეე, ისედაც ძალიან გადაგალეუთ ჩემი უგონო და სულელური ყბედობით, — ვთქვი და მეორე თვალიც დავხუჭე, — შენ კარგად იყავი, ძმაო, ალლაჰნაზარ! — დავამთავრე უკვე თვალდახუჭულმა.



ციკლიდან „ARTკაპები“

ბულგარული

გავაღე ფანჯარა... შევდექი რაფაზედაც... ძირს ვილაც გადაქცა თავზარის ნაფაზებად... და დაჭრილ თვალბის კივილით ამომცქერის და თანაც სურს იყოს საშველის გამომწერი... და თანაც ჰგონია შუშების მწმენდელივარ, ხოლო მე გულმკვარი მოვედი ჰენდელიდან... — ჰენდელმაც ვერ მიხსნა თავისი მაჟორებით: დრო მაინც არ დადგა ტანჯვასთან დაშორების... ტანჯვა კი, თუ დადებს ფიცს სანერ მაგიდებთან — გათავდა: ერთგული ცოლივით გაგვიხდებოდა... დრო მაინც არ დგება ტანჯვების დაფასების — ღრენენ და გაჰყეფენ განმცხრომთა ნაგაზებში... მე ვეღარ ვიყეფებ, ჰურისთვის, ნაგაზებთან... გავაღე ფანჯარა!.. შევდექი რაფაზედა!.. შიშისგან იძვრიან კედლები საძინებლის, რომელსაც სიზმრების სხივებით ვაბრწყინებდი... იქით კი — იღვრება ჰენდელის ჰანგებიდა მე უნდა გავფრინდე სიცოცხლის ჭანგებიდან!..

სიტყვის თიხის გზაჯარი

სიტყვაც თიხაა, რომელიც ავლენს ჰოვსილებს და მე ეს თიხა ცრემლით და სისხლით მოვზილე და რახან ზღუდე გარს აკრავს სამი დროეთის — ვერვინ მოზილა ეს თიხა, გარდა პოეტის... და სიტყვის თიხა რახან სხვამ ვერვინ მოზილა — პოეტს ყველას აქვს ნება თქვას: „გენიოსივარ!“ პოეტს, დიდსა თუ არადიდს, სული ორთავეს ისე უელავთ, რომ მისით ღმერთსაც მორთავენ... გამძლეობაში პოეტებს ნულარ ედრებით მთელი მსოფლიოს მძლეველი მთავარმხედრები, მე პოეტებთან გირჩევდით ტკბილად საუბრებს, რადგანაც მაგათ ბუზსაც კი ვეღარ აუფრენთ! — პოეტები ხომ სიტყვიერ თიხას ზეღენდა, ცხენების დარად, არა აქვთ, თურმე, ელენთა... მათთან ვერ იხმართ ვერც უროს, ვეღარც ძალაყინს... თქვენთან კიარა, სიკვდილთან ბრძოლაც არაღლით... მე პოეტი ვარ, სიტყვას ვჭამ, სიტყვით ვირთვები, სიტყვას ვზელ... ჭერში მიწყვია სიტყვის ბირთვები და ენერგიას ვინახავ მათში უძლეველს, რომელსაც წლები, სალბუნად, სულელებს უცხებენ... ვერცერთი დალი, სიტყვისებერ, ვეღარ დამდაღავს და ჩემში ცეცხლი როგორც სუფევს, ამდაგვარს ვერც ნაგასაკი იგრძნობდა, ვერცხიროსიმა და ამის გამო ვამბობ, რომ გენიოსივარ!

პრომოუშენი


რაც არ უნდა გავაბროლოთ, გავალალოთ — ვითარება ყველგან არის საველალო... მალე მარსიც გაგვიხდება ავგაროზი... მალე ჭიპიც გამოჩნდება სამყაროსი... წლები გამჟინენ დრამებზე და ეპოსებზე, ძველებურად არც ძველ ბოზებს ებოზებათ, ძველებურად აღარც ვმღერით, აღარცვსტირით და გვინდება ყველაფერი ახალსტილით... ყველაფერი მწყურვალის ყელს ედარება, გადაგვარდა ნვალეზაც და ნეტარებაც და ეს ფეხზე თუ ჰკიდა პრომოუშენს — თეატრშიც და ოპერაშიც დრომოუშევებს სულ სხვა თვალის, სულ სხვა ყურის მაყურებელს, რაც არ უნდა აჩმახოს და ახურებდეს...

ღმერთი გვიშტვენს

ბრძენმაც, გიჟმაც, ფხიზელმაც და გათხლეშილმაც — ვერ შევნიშნეთ, თუ რა გვჭირს და რადღეშივართ... რამ გვიშველოს ხალხს და ხალხის ისტებლიშმენტს! — უკვე მოძღვრაც არ გვესმის და ქრისტიანობის გვიშვენს... აბა რა ქნას! — მეერ რა რომ ღმერთიად... გვიშტვენს, რომ არ ვზღაბთ ცოდვები ერთითადა... რა ქნას, როცა აღარ გვესმის ქადაგება და მსოფლიო ჩვენმა სისხლმა გადაღება! და აქ რახან ჩვენ ჯერ კიდევ ვიბადებით, რახან ვეღარ დავინახეთ ხიფათები, და რახანაც სიტყვა აღარ გვეყურება და რახანაც ჯობს ვჩნდებოდეთ ბელურებად... და ფუჭია რახან ჩვენი სამიტები — ღმერთი ცაში დგას და გვიშტვენს გამეტებით...

მდგომარეობა

ახლა დედამინა ისეთ დღეშიარა — მთელი აღარ შერჩა ერთი პუშვიარე... ყველგან უკიდა, ინვის, ბოლიუდის, თითქოს პავილიონს ვუცქერთ ჰოლივუდის, სადაც ფილმს იღებენ ღმერთის საანდერძედ, ადამიანების ბოლო საათებზე...



ბათუ შარელი

ხელოვნს

თუ არ გესმის ტკივილების ჩურჩულიან თუ სიამე თვალს მალ-მალე არგარიდებს — უმათებოდ ხელოვნება ჭურჭელია, რაც ინახავს მხოლოდ რიომ მარგალიტებს...

ნურც საქციელს ელოდები კეთილშობილს! ნურც ჩაუვლი გალაღებულ მსტოვრებისკარს!.. — მეტი ტანჯვა, მეტი შხამი, მეტიშოკი უნდა გქონდეს მიღებული ცხოვრებისგან!

ძილგატეხილ ღამეებთან შერიგებით გამეტებდეს მარტოოდენ კრულალა, თორემ სხვაფერ უბედური ვერიქები და რას შექმნი, უბედური თუარახან!

ციკლიდან „უბალობალი საბალობლები“

სიცხე

N-ს

მოკლედ: სიცხეა აუტანელი და ჩემ ბინაში, ჩემ გარდა, ახლა, სუყველაფერი არის ცხენი, მხოლოდ მე ვარ უნაგირი — ერთი ანდაზის დაჩაგრული პერსონაჟი და სიცხე ჩემზე გადი-გამოდის, მთელი თავისი, ხვითქისგამომხედელ, უხილაფი ხელსაწყობით... სხვებს კი: ჭერს, ნივთებს, კედლებს, იატაკს, რა ენაღვლებათ! — არხენად ჭიხვიტებენ და... მათ ვერ „ერევა“ და მე „მამტვრევს“ ეს უვიცი მხედარი სიცხე...

მოკლედ: ისე ძალიან მცხელა — მინდა სხეული გავიხადო და მოვისროლო ზედმეტ ბარგივით...

მოკლედ: იმ დღესაც ასე ცხელოდა, შენ, რომელიც კულტურულ ჭერქვეშ, ჩემ გვერდით მოხვდი. იყო დღე ერთი ძველი პოეტის ახალი ნიგნის თავმონონების... მე კი, რატომღაც, შენს წინაშე, თავი ჩემ წიგნს მოვანონინე ცხელი წარწერით: ამას და ამას, ასეთ და ასეთ ქალსა და პოეტს... ერთად ვისხედით ორი სიცხე და მესამე — ცხელი ამინდი...

მოკლედ: იმ დღის სიცხე რომ არა, უსათუოდ გაგაცილებდი,

გზად სიყვარულსაც აგინხნდი, მაგრამ ისე ცხელოდა იმ დღეს, რომ მაგისტვის უკმარისი იყო უანგბადი და სიყვარულსაც არ შეეძლო, ჩვენთვის ექნია მარაოები, რადგან თავადვე უჰაეროდ იხუთებოდა.

მოკლედ: ყველაზე გრილ საფლავშიც ამინევს სიცხე, როცა ის დღე გამახსენდება...

სხვაშინდაბრუნება

მე დღეს არ მინდა დაებრუნდე შინ შინ დაბრუნებაც მოძველდა დიდხანია ხომ შეიძლება მის მაგიერ რამე ახალი მოვიმოქმედო მაგალითად ნავიდე სხვაშინ და ვარსკვლავები მხვდებოდნენ გზაში და ჩემთან ჰქონდეთ გასაუბრება ისე როგორც უტარებენ აბიტურიენტს

არ შეიძლება სამყაროში არ იყოს სხვაშინ სადაც არასდროს აღარ დამხვდება მარტოობა როგორც ბედის ფარდობითობის თეორია

არ შეიძლება არ იყოს სხვაშინ სადაც სულ ნახვალ როცა გსურს მამინ და არა მამინ როცა მზე ჩავა და ვახშმის ჟამი მოიკითხავს შიმშილის გრძნობას ანდა უკეთეს შემთხვევაში მამინ როდესაც ქუთუთობებქვეშ გინდა თუ არა დაგისხდებიან ძილის გვრიტები

და ჩემში იმნამსვე დამშვიდდა გუნება როგორც კი ვინამე სხვაშინდაბრუნება

არ შეიძლება არ იყოს სხვაშინ სადაც ერთხელდა დაებრუნდები მარტოოდენ და სადაც დამხვდება ცოლი დედა და ბებოჩემი ნაყოლი ძროხებ-ხბოებით და ძაღლებ-კატებით და დავსხდებით და ვილაპარაკებთ უერთმანეთოდ ყოფნის გაუსაძლისობაზე იმაზე კიდევ რომ არასოდეს არ დავშორდებით ერთიმეორეს

ჰოპლა დღეის დღე ისე ყრუა და მოავადე გამიკვირდება თუ მის ბოლოს მთელი გადავრჩი და არსაიდან გამოველ და იმ გზას დავადექ რომელიც აღარც შინ მიმიყვანს აღარც ტაძარში

შიშხილის წინააღმდეგ

ედენება ღორმუცლებს

გულიდან გადმოვიღე რამდენიმე ნაჭერი ტკივილი სულიდან გადმოვიღე რამდენიმე ნაჭერი შფოთვა დავალაგე ცხელ ტაფაზე დაფუმატე რამდენიმე წვეთი ცრემლი ასევე რამდენიმე კვნიტი ხსოვნა და სევდა მოვთუშე და გეახელით მას მერე ერთი კვირა გავიდა და აღარ მშვიდდება — რწმენა სინამდვილეზე მალა დგას!..

თავისუფლების ლაქსი

თავისუფლება — შენი თავიდან გაქცევაა, ხოლო თუ რამე ძნელია და რთული, გაქცევაა — შენი თავიდან. ადამიანო, რწმენით უფრო უნდა პურდებოდე, ვიდრე გემრიელი და მსუყე საქმლით... და, როგორც პანოს ხატავენ, სულის კედლები ისე უნდა მოხატო რწმენით, თუ გსურს გაქცევა შენი თავიდან! და განა შორს უნდა გაიქცე — შენგან სულ რამდენიმე მეტრში უნდა დაეყუდო და შენს თავს იქიდან უყურო და უყურო და უყურო, რომ რამე ცუდი არ ჩაიღინოს...

ისათი ადამიანები

ისეთ ადამიანებსაც ვიცნობ, აი, ყოველდღე, მინდვრის ყვავილები რომ კრიფონ და ჰყიდონ და მისთვის მინდვრებმა უჩივრონ — მაშინაც კი დაინყებენ თავის მართლებას...

ციკლიდან „ჯვალოები“

ფიქრით და უფიქროდ

სულ მეფიქრება და მაინც ფიქრი არმყოფნის.
ფიქრი უთუოდ პურია ყოფნა-არყოფნის.
რამეს თუ უნდა ემონო — ფიქრის ნარკოტიკს!..
ჩრდილოვან გზაზე ფიქრებმა ბევრი მზვარეშვეს.
ხანმოკლე ფიქრი ჯობია ხანგრძლივ თარეშებს.
ფიქრს ვერ მიიჩვევ ცუდობით, ანდა კარგობით,
უბრალოდ უნდა ვერ ძლებდე ფიქრის გარეშე!

ფიქრს შეუძლია გვაქციოს უძლევე რიგითად...
უფიქროდ სული ეშმაკებს ბევრმა მიყიდა
და ვნახავთ როგორ მოუწევთ წასვლა იქითა...
ამიტომ ფიქრებს ღამენი უნდა ვუთენოთ,
თორემ აღარსად ინთება ჭალი უდენოდ...
ჩვენ გასვლა ისე შეგვეძლოს უნდა ფიქრიდან,
რომ შავი დღენი დროს გზიდან გადავუდენოთ!..

ვაითუ იქაც

ვთქვით გაანგრე კედლები, ჭერიც ახადე
სახლს და გახვედი იქ, სადაც სულის სახატე
არის და თავი ქუდში გაქვს, ღმერთის ნახვამდე...
და ელოდები მოთმენით, მაგრამ რასიზამ,
სვე-ბედი იქაც თუ გასკდა შენზე ბრაზისგან...
და იქაც გერგო, „უსაქმურს“, კალმის მახათი,
საკერად ეღვით გახეულ ციურ ტრასისა!

ვაითუ იქაც აზვირთდი! იქაც, ვაითუ,
ზმანებებისკენ ნახველ და, შვილო, საითო,
თუ გკითხა ღმერთმა! ჯობს გულზე ხელი დაიდო
და თხოვო, აღარ გაომოს ისევ დროებთან,
აღარ განახოს საქმენი ახალ ნოეთა...
და რომ ცხოვრება ცოტათი გაილაითო,
ეცადე, რომ არ დაგნიშნოს იქაც პოეტად!

დედა

...დედა მიცენია ღმერთადა.
ვაჟა

როდესაც დედას ვიხსენებ მოხვეულ თავშლით,
ცისქვეშაც ვერ ვეტყვი და ჩემსავე თავშიც...
ჩემ თავს ვეცემი ბრაზით და დავარღვევ, დავშლი
და, ვცდილობ, იგი ჩემივე ხელით ავანყო,
უფრო დიდი და ტევადი, ძველის სანაცვლოდ,
რომ აღარ ვიყო მე დედის ამაგთან ვალში,
მაგრამ ჩამესმის: სად ჩატევე დედის ნანასო!

დედის დარს ვერსად ვპოულობთ მსახურ-ფარეშებს,
თუმცა ქვეყანა მოველეთ და მოვითარეთ
და მოვიხილეთ ცხოვრების ყველა მხარე-შრე...
დედისებრ, ჩვენთვის,
კარგს და ცუდს ჩვენვე ვერგვტიხრავთ
ერთმანეთისგან... — გვაკლდება მუდამ ერთიხმა...
სამყარო, ალბათ, არაა ღმერთის გარეშე,
მაგრამ შენ, დედა, იმ ღმერთზე მეტი ღმერთიხარ!..

ციკლიდან „შხაფაბი“

ნაოგარის მადლიერება

მადლობა
ღრუბლებს,
რომ,
ბომბის
გარდა,
სუყველაფერს,
ემგვანებიან!..

მამა აკვანთან

ფრთებიც
რომ
გამეზარდოს,
არ
გავფრინდები,
შენ
დაგაფარებ...

ღანაგრული ფანჯრები

რამდენი
ფანჯარაა,
რომლებსაც
ენატრებათ —
ვინმემ
გაიხედოს
მათგან!..

თეთრი ფარი: სიბერე და სიჭაბუკე

თმადათოვლილი
აღარ
ვსწევ
ფარდას,
იქ —
ნუშია
აყვავებული...

ფსიქოლოგიური დოლი

როცა
იმ
ტრანსპორტის
გასწრება
გინდება
რომელიც
მიგაქროლებს

წვიმისგან გულანყვითილი

ღრუბელი
ზოგჯერ
დედაჩემსაც
დაემგვანება
მაგრამ
მაშინვე
განვიმდება...

ციკლიდან „ქველბურები“

სიყვარული და ჭირვეულობა

მასთან ვერნაცეკვს ვიხსენებთ ვალსებს
და, თითქოს, ვიგლეჯთ სახიდან ნიღაბს...
ხელსაც ჩავიქნევთ ჭირვეულ ქალზე
და მაშინ ვხვდებით, რომ ისევ გვიყვარს...

ამაზე რატომ არ წერენ წიგნებს,
ამაზე რატომ არა აქვთ შეხლა,
რომ მუდამ ერთად ვინც უნდა იყვნენ —
ხშირად ცალ-ცალკე ცხოვრობენ ქვეყნად?!

თავს დავანებებთ გვგონია ხვალ-ზეგ
მათკენ ლტოლვას და მათთვისვე ჯიჰადს...
ხელსაც ჩავიქნევთ ჭირვეულ ქალზე
და მაშინ ვხვდებით, რომ ისევ გვიყვარს.

ბადანქანილი ანგელოზები

როდესაც ზემოთ ყარდნენ მძორები
და გამოსცემდნენ ბინძურ ბრძანებებს,
ჩვენ დახრილ თავებს ვერ ვასწორებდით...
და თეთრი დღენი იგვიანებდნენ...

ვეყმეთ სურნელთა მხერგავ მუცლებსაც,
გამოვავლინეთ ქვათა სიბეცეც...
და ჩვენს მონობას ვერ გაუძლესდა —
ანგელოზები გადაიხვეწნენ...

უმათოდ ქაჯებს, აბრუნდებიანს,
დღესაც ყმებივით გავეროზგებით...
ნეტავი როდის დაბრუნდებიან
გადახვეწილი ანგელოზები!

სული და ქარები

სიცოცხლის ქარებს, წვიმებს და თოვლებს
ვებრძვით და ვხარობთ მათი გარეკვით.
ბოლო დღეს მაინც ქარები მოვლენ,
აუცილებლად მოვლენ ქარები!..

და რომ სიცოცხლე რისხვას არიშლის,
ეს სიკვდილს რაც უნდ ვუანგარიშოთ,
სიკვდილი მაინც მოვა ქარიშხლით —
სული ვერ წავა უამქარიშხლოდ...

გადააჭარბოს თუნდაც მოლოდინს
ბოლო ტკივილმა ხსოვნის დარეკვით —
ქარები მაინც მოვლენ ბოლოდღეს,
აუცილებლად მოვლენ ქარები!..

სამი ქება

მე ვიმსახურებ მხოლოდ სამქებას:
ერთი — ბედმა რომ ლექსით გამღება!
ორი — მადლი რომ ყველგან დამყვება!
სამი — სული რომ მიდგას ამქვეყნად!..

სიყვარულის ალფაბეტი

ქსპრომტი
შენ ალფა ხარ, მებეტა —
სენი გვიტევეს მეფეთა:
ამ სენს ვერ გაუმკლავდა
ბაბილონი, თებედა...
მეც დამჩაგრავს ეს სენი,
როგორც ბედის შეკვეთა,
ჩემმა ხელმა შენს კაბას
გახდა თუ არ შებედა...

ბანარაბული წვიმა

ღრუბლებში უთუოდ ჯადოსის,
აბა დღეს ამფერად რატონვიმს —
ასეთი გზნებით და პათოსით?! —
წვიმასაც მობეზრდა სხვადოზით —
ზღაპარი ფქვილის და ქატოსი...
მღერს მტკვარი: დორემიფადოსი!
და ულხინთ მეტეხის ლიბოებს,
ლხენაა მთანმინდის პლატოსი:
ღმერთმანი, უთუოდ იპოვეს
უცნობი ლექსები ტატოსი!..

ღამარხვის შემდეგ

ბრახუნი შეწყდა... და საფლავი სიჩუმით მდალავს.
საფლავს ზემოთაც გაირინდა ბარდნარ-პალმეთი...
და რომ მომბეზრდა მდუმარება: წავალ და ახალ
დამარხულებთან სასაუბროდ გადავალ-მეთქი!

მაგრამ რომ ვცადე წამოდგომა და მოვეყვე ფათურს —
ხმა იღუმალი განზრახვის გზას უცებ მინისლავს:
— თქვენს სამარეში დაეტიეთ, ბატონო ბათუ:
მკვდრებს ნება მხოლოდ
აქვთ აღდგომის მოლოდინისა!..

შოპანი

რუბინშტეინის დაკრულს ვუსმენდი
შოპენს — გრძნობათა მღელვარ ამაზონს
და ამომეძვრნენ, თითქოს, ლურსმნები,
ამ ცხოვრებამ რომ გულზე დამასო...

შოპენი იჭერს გზაში კარტეჩებს,
ჭურვებს ხელიდან უგდებს მუხანათს...
შოპენი როგორ არ გვიყვარდესჩვენ,
როდესაც შოპენს ყველა ვუყვარვართ!

გულის გაფრენა

შენზე რალაცას ჩემთვის ვწერდიდა
უცებ გადმოხტა გული მკერდიდან
და დამისკუპდა მუხლზე ბავშვივით,
მეტი სურს-მეთქი ჩემთან კავშირი
და თავზე ხელი თბილად გადაუსვი:
შენა ხარ-მეთქი ოქრო ბათუსი!
შენა ხარ-მეთქი ძღვენი ზღაპრიდან!
ის კი ახტა და შენკენ გაფრინდა...

ღამის მცირე და დიდ ქვეყნაზე

ანდრო ბედუკაძეს

დიდი ქვეყნების ძლიერება, ომით გამართობი,
კაცობრიობის ხანდაზმულ ტვინს შიშით ალაცებს...
დიდი ქვეყნები თავს ესხმიან უსამართლობით
და უმრავლებენ მცირე ქვეყნებს ძვალშესალაგებს.

დიდ ქვეყნებისთვის ნუთუ ღვთისგან არის ნაბოძი
ძალა, რომელიც მცირე ქვეყნებს აახაოებს!..
დიდი ქვეყნები, თავგანწირულ გმირთა დახოცვით,
უფართოებენ მცირე ქვეყნებს სასაფლაოებს.

ერთი მდინარეც არ დის ცისქვეშ ეგზომ მალიად,
როგორც სამშობლოს გულისათვის
მკვდარზე მიითდის...
სასაფლაონი დიდდებიან ისე ძალიან —
ვშიშობ არ გახდნენ სამშობლოზე მეტი სიდიდის!

ეზო აივნიდან

დედა, დილიდან ეზოს გავყურებ —
ყველა ადგილი ხსოვნას ინახავს.
ცვარი ჰკიდია ბალახს საყურედ,
მე კი, მოვთიბე გუშინ კინალამ.

ღრუბლები გაქრნენ ციდან უთქემოდ —
წყურვილი ექცათ ნალმად მაჩიტებს...
დედა, დღეს სახლის მტვირნიან კუთხეში
შენი სათვალე აღმოვაჩინე...



თათარაიძის ჩიტები

ცნობილი ფრანგი პოეტი და მოაზროვნე, პოლ კლოდელი, შენიშნავდა: XIX საუკუნეში, როცა დაიმსხვრა ძველი დოგმები, ფორმა-ჩარჩოები, ტრადიციები და ადამიანმა მოიპოვა აზრის თავისუფლება, მოსალოდნელი იყო, რომ თავისუფლებასთან ერთად ბუნებრივად იფეთქებდა სიხარულის განცდა, მაგრამ განა გამოგნებელი არ არის, რომ მთელი XIX-XX საუკუნის ფრანგულ პოეზიაში ამ განცდას ვერსად ვნახავთ?! კი, ვხვდებით ზოგჯერ სიამოვნებისა და კმაყოფილების შეგრძნებას, მაგრამ არა სიხარულს!

უსიხარულობა, ჩემი ღრმა რწმენით, არარელიგიურობიდან, უღმერთობიდან მოდის. თვით გენიალურ პოეტებსაც კი ხშირად არ შეეძლოთ სიმშვიდისა და პარმონიის მოტანა ჩვენთვის, რადგან არ გააჩნდათ ღმერთის განცდა...

წლებთან ერთად ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა არა მხოლოდ ფრანგული პოეზიისათვის... უაღრესად აქტუალური გახდა იგი ზოგადად, დღევანდელი მსოფლიოსათვის.

ოდესღაც ღირსებითა და სიხარულით სავსე საქართველოც თანამედროვე სამყაროს ნაწილია და ჩვენ, ყველანი ერთად ვაკვირდებით, რწმენითა და სიყვარულით სავსე ბიბლიური ჭებიდან როგორ ჩუმად, ნელ-ნელა მიიპარება მაცოცხლებელი წყლები.

და აი, დღეს ჩვენ ვსაუბრობთ ქართული პოეზიის ერთ-ერთ უცნაურ მშვენიერებაზე, რომლის შემოქმედების ბიბლიური ჭები უნაკლოდ სავსეა და გადალიცლიცებული. ეს იმიტომ, რომ მას გააჩნია ღმერთის განცდა ისევე ცხადად და ბუნებრივად, როგორც გული და სმენა, ამიტომაც:

„ღმერთსთან სასაობრო“
სამზადისში ვარ

მარცხენაში მიჭირავ

ლექსის ალის კვარ,

მარჯვენაში — დანალა,

წმინდა ნინოს ჯვარ,

შუბლზე მაყრი სინმინდის,

სიალალის ცვარ...“

ამიტომაც ღმერთი მას ჩუქნის უამრავ ცრემლს. დიახ, ცრემლი წყალობაა და როგორც დიდი ფსიქიატრი, პიერ ჟანე, აღნიშნავს, საუკუნის „მონინავე“ დაავადებად სწორედ უცრემლობა იქცა. პაციენტები ხშირად ჩივიან, რომ ტირილი უნდათ და ვერ ტირიან, ცრემლით უნდათ გულის მოხება და ვერ იოხებენ, რადგან გამოშრება მათი გულები და დაცარიელდა მათი სულები...

ეთერ თათარაიძე კი მდიდარია ამ ცრემლით, დარდით, ფიქრით, სიყვარულით, განცდით... გამოგნებულად ბევრი ცრემლი იღვრება პოეტური მინიატურების მის ახალ ნიგშიც, რომელიც სათაურითაა — ორი სამი ოთხი — და ამ ცრემლით ხდება ყოველივე იმ შელახულის, გამქრალის გამოტირება, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს:

„მიმანყვეტსა-დ მომანყვეტს

გამეტებით ცხოვრება,

ხანთხან სია'მ სიხარულ

უფრო კი ცრემლ-დ ცხონება“.

არსებობენ სიტყვები, რომლებიც მხატვრულ ტექსტში ყველაზე დიდი ინტენსიობით მეორდებიან. ლიტმოდენობაში მათ სიტყვა-გასაღებებს უწოდებენ. მათი მეშვეობით ხშირად მხატვრული ნაწარმოების არსის, მნიშვნელობის, მსოფლგანცდის დადგენაც ხდება.

ეთერ თათარაიძის ლექსებში ხშირად ვხვდებით სიტყვებს: დარდი, ნისლი, სევდა, ცრემლი, ჩიტი, ფიქრი, ჟამი, სამშობლო, თუშეთი, სული, სიმშვიდე, უფალი... და მთლიანობაში ამ სიტყვათა ვარიანტებით, ექვებით, გამოსხვიებით, სურნელით, აკუსტიკური ჟღერადობითა და სიღრმით იქსოვება მთელი ეს განსაცვიფრებელი სამყარო. სამყარო, რომელიც ასე შორეული და ახლობელია, რომელიც გვახსოვს და არც გვახსოვს, რომელიც იყო და არც იყო, რომელიც ოცნების კუნძულივით ჩარჩა სადღაც დათრთვილული და ბურუსებით მოცული.

ამ უძირითადესი სიტყვების ათასნაირ ინტონაციურ ვარიაციებს გვთავაზობს პოეტი, — დიდია ცდუნება თითოეული მათგანი წარმოადგინოთ... აქა-იქ სანი-

მუშოდ თითო-ორიოჯად შემოგთავაზებთ:

„ხან ხანჯრისფრად ჩამკაფავს

შენ მონატრის ელდა —

ჩემ ცხოვრება ძლებს —

სევდა, სევდა, სევდა —“

სევდასთან ერთად ამ ნიგში დარდის იმდენგვარი გამოვლენაა, ისეთი ფაქიზი და დამინებული ერთსა და იმავე დროს, როგორც ეს სტრიქონები:

„ერთად მომეყრებისა-დ

მთად ამეგებ სადარდელ,

ამდენ რაით ვაკურნავ“

ანდა:

„სადარდელში ჩამრჩალ ვარ,

რაგვერც ლაფში ურემ...“

რაზე დარდობს, რაზე ფიქრობს ამდენს

პოეტი? მთელი ჯარია სადარდებლების —

უპატრონოდ დარჩენილი სოფლები, ნა-

ვადარი დედა, საყვარელი კაცი, თვალხ-

ელშია დამდნარი სამშობლო, უცხოეთში

ნასული შვილი... „მინდიას — ამერიკაში“

— ასე ჰქვია ერთ საოცარ ლექსს, რომელიც

დედაშვილობის უძლიერესი პოეტური

ხატია:

„წერილს გულ

გამოვაცოლ,

რო ვამლ, მთხილად

იყვიდ...“

„სიის მიექანების ჩემ სამშობლო,

უფალო...“

ერთ შენ ხარ ჩვენ ნუგეშ“.

ფიქრებს, განცდებს, ემოციებს, სულისა

და ხორცის მდგომარეობას ეთერ თათ-

არაიძე განსაცვიფრებელი სიღრმითა და

უშუალობით გამოხატავს:

„ჰო, შენ ვერ იც,

რა მიძიე ვ ბაკვალს გავდივარ,

სული-დ იმედ გამორთმეულ

მკვდარს რო ვადრივარ,

ჰო, შენ ვერ იც...“

მართლაც, უიმედობა ყოველდღი-

ურობაში, ცხოვრება რომ ჰქვია, განა

სიკვდილს არ უდრის?!

ეთერ თათარაიძე ხშირად მიმართავს,

ესაუბრება საკუთარ თავს, ხშირად ამუ-

ნათებს, ანჯღრევს, შეუძახებს და ეს ისეთი

ენერგიით, ძლევაგამოსილებით გადმოდის

მკითხველში, რომ პირდაპირ შენ ხდები

მისი გამხმნეების ობიექტი:

„ღონე მ'იკრიფ, ჩემ სულო,

ამოყვავილედ, ამომღერდ,

თვარამ სევდიან სოფელ

გამოგზრავსა-დ და გამოგლერღს

ღონე მ'იკრიფ, ღლილ გულო,

დარდებს მე'რი, ამოგძვრდ...“

რა უცნაური საყვედური იცის ამ ქალ-

მა, გეტყვის და უცებ დაგარეტიანებს,

აზრზე მოგიყვანს, ადრესატი უცებვე

გააცნობიერებ საკუთარ მდგომარეობას:

„წინავე მოგქონდ ყვავილებ,

ახლ ჭლექმეყრილ სიტყვებ...“

წინათ ყვავილები მოგქონდა, ახლა

ჭლექმეყრილი სიტყვებით... ამაზე უფრო

ელეგანტური და უმკაცრესი საყვედური

წარმოუდგენელი!

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ ემზადება

ლექსთა შესაყრელად ეთერ თათარაიძე:

„ჩამ-ჩუმ ჩი'კრიფ მშფოთვარ სულმ,

ლექსთან შეყრად ვემზადებ...“

ასევე ფანტასტიურია ეთეროს დამუ-

ქრება:

„უთქმელ სათქმელ დამიქურდ,

უძირო ტბას მიგავის,

თუკი დი'ძრად ამოხეთქ,

ნამდვილ წარღვნას მიქადის,

პირ არ გამაქსნით, თვარ...“

წაიკითხავთ ამ ნიგს და მიხვდებით,

რატომ არ შეეღია ეთერ თათარაიძე თუ-

შური კილოკავით წერას. როგორ უნდა

გიყვარდეს, ასე რომ გამოხატო:

„ნეტაი თქვენ, თვალთ შეჭამთ

ჩემ მზენაღვარ თუშეთს...“

„რა'ს ამ-ჩამდეგ ნატვრაო:

თუშეთ, თუშეთ, თუშეთ!“

ეკოლოგიაზე წერენ, დარდობენ, ესარ-

ჩლებიან დედა-ბუნების ფლორა-ფაუნას,

არა მარტო ეკოლოგები, არამედ ეგრეთ

წოდებულ აქტუალურ თემებს, გაგრანტე-

ბულ თემებს დახარბებული პოეტები, პუბ-

ლიცისტები, ჟურნალისტები, პროზაიკო-

სები... მაგრამ რაც არ უნდა დარდის ყდებ-

ითა და სუპერებით შეფუთონ ეს გამოსარ-

ჩლება, მათი სიტყვის ენერგიით, უღონო-

ბით მაინც ვერ გაჯერებენ ამ ზრუნვას. იმ-

იტომ, რომ სიტყვის ანგარებას მაღლი არ

მოსდევს. ერთი ჩიტის გულივით მგვიტაქვ

მეტაფორას ვერსად შეხვდებით მათ ტრა-
მალივით გამომშრალ უსასრულო ტექსტე-
ბსა თუ წუნუნში.

ეთერთან კი ეს მოსარჩლეობა იმდენად
ბუნებრივი და მართალია, იმდენად ხელ-
შესახები და რეალური, იმდენად ერთ სულ
და ერთ ხორც არიან ეთერ თათარაიძე და
მისი ლექსები, რომ რეზონანსივითი გახ-
სენდება, ბავშვებზე რომ თქვა: ეგენი ბუნ-
ებისაგან სულგაუმიჯნავი ხალხიაო.

ეთერ თათარაიძეც, ეს ბრძენი და ჭკვი-
ანი ქალბატონი ბავშვივითაა. როგორი ფხ-
იზელი თვალი და აბსოლუტური მუსიკა-
ლური სმენა აქვს, ორიოდვე სტრიქონით შე-
იძლება დადგინდეს:

„ძალდ რო ნადირს შა'გულელებ,

გან ხეყფს, კნას-კნასებს“.

„ნისლი ფიქრია მთებისა...“ ჯანლისა და

ნისლის ხსენება სარისკოც კია ვაჟას მერე

ლექსში, ისეთი გრანდიოზული (გამოგნე-

ბელი) დატვირთვა მისცა დიდმა პოეტმა,

გვახსოვს. ასე მგონია ეთეროს ლექსებში

ჩამომდგარი ნისლებისა და ბურუსების სე-

ვდას ყველაზე უკეთ სწორედ ვაჟა გაიგე-

ბდა.

ჩიტები, ჩიტები, ჩიტები... ჩიტების შემო-
სევაა, ოღონდ ეს ჩიტები ჯერ არ შეშლილ-
ან, ჯერ არ გაბოროტებულან ხიჩკოკის
ფრინველებით... ჩიტების ჟიჟივით მო-
ქსოვილ ბადეშია გახვეული ეთერ თათარ-
აიძის პოეტური სამყარო, ავი და კეთილი
ადამიანები, მზიანი დღეები და წყვდიადი

მაკა ჯოხაძე



ღამეები, სასონარკვეთები და იმედები:
„ზოგ დღეს ნამოვერცხლისწყლდებ
ნიავე ვლგევარ, დედო...“
დღეს კი ძალღების ნაგლეჯს
გულ მიგავის, დედო...“

საოცარია მისი ავტობიოგრაფიების
გალერეა:
„ეთერო, რად შეგეყრებ
ზოგჯერ შიშის თორთოა?
სიკვდილ უფრო გაშინებსა
თუ ხარბ ადამიან?...“
ზუსტია მისი დასკვნაც:
„ჩვენ ფერა ების ადგილ
ამ სოფელში არაა...“

ეს განცდა ყველა დროის ნამდვილი
პოეტის განცდაა. მით უფრო არ არის
გასაკვირი ეთერ თათარაიძის შემთხვევა-
ში, რომელმაც გასაოცარი ერთგულება
გამოიჩინა თუშური დიალექტის ფენომ-
ენისადმი. როგორც სარტრი იტყოდა, პო-
ეტი საკუთარი ენის სახელმწიფოში ცხ-
ოვრობს. ეთერ თათარაიძის ტრადიტი და
ჭკვიანი ინტუიცია იმთავითვე, გაჩენი-
სთანავე გრძნობდა, რომ მშობლიური ენა
ჩვილივით სათუთი და მოსავლელი იქნე-
ბოდა. ამიტომაც მაღლიერია უფლის:

„გმაღლო, ჩემ ტკბილ უფალო,
სიტყვა საკურნელად მშობ,
ქართულ სიტყვის ტაძარ მიგ,
თუშურისა — დედაბოძ...“

მოდერნიზმის, პოსტმოდერ ნიშმის,
გლობალიზმის, დესტრუქტივიზმის, ლიბ-
ერალიზმისა და ათასგვარი იზმის ჯუნგ-
ლებში გამოვლილი ეთერ თათარაიძის შე-
ურყვნელი თუშური და ქართული ლო-

რთქო ბალახივითაა და ბეტონის საფარი-
დან ამოხეთქილ იას ნაგავს. ეს პოეტისა
და ყვავილის ერთდროული გამარჯვებაა.
როგორც აინშტაინი იტყოდა, დღეს-
დღეობითაც „ნამდვილ პრობლემას წარ-
მოადგენს სულის შინაგანი მდგომარეობა
და კაცობრიობის აზროვნება. ეს არაა ფი-
ზიკური პრობლემა, არამედ ეთიკისა. რაც
ჩვენ გვაშინებს, ესაა არა ატომური ბომ-
ბის ფეთქებადი ძალა, არამედ ადამიანური
გულის გაბოროტების ძალა...“

ათეული წლებია, ზოგადად, სამყარო-
ში, და კერძოდ, ჩვენს სამშობლოში მონმე-
ნი ვხდებით, რა დამანგრეველი ძალა აქვს
გაბოროტებულ გულს, იმდენად დამან-
გრეველი, რომ თანდათანობით ავრ-
ცელებს ირგვლივ შეჩვევის, გულგრილო-
ბის რადიუსსა და ვირუსებს.

ეთერმა სრულყოფილად იცის ეს ძა-
ლა... ამიტომაც მთელი მისი შემოქმედე-
ბა მზის სიყვარული და მზის მიბაძვა:

„მზემ ვერ იცის, სი ჩხუბი,

სი შურია-დ მტრობა

ყველათ შინ იცის შესვლა,

ყველა'თა უნდ თობა...“

ამიტომაც მჯერა, ვისაც მზე და თავი-
სი სამშობლოს თუშურ ხალიჩასავით მო-
ფარდაგებული მთა-ბარი უყვარს, უყვარს
ეთერ თათარაიძის ლექსიც, ესმის მისი
ბუნებრიობის ძალაც და ხიბლიც. ასეთები
კი... საბედნიეროდ, არც ისე ცოტანი ვართ
საქართველოში.



არქიმანდრიტის ზარი

დღეს ყველანი ვგრძნობთ, როგორ
დაკარგა სიტყვამ ძალა, როგორ გაუფა-
სურდა, როგორ დაეცა... ამ პრობლემას-
თან დაკავშირებით არაჩვეულებრივად
წერს ცნობილი ლეთისმეტყველი, მამა
ალექსანდრე შუმენი:

„სწორედ სიტყვის დაცემით იწყება კა-
ცობრიობის დაცემა. დაცემა კი ისაა, რომ
სიტყვა შიგნიდან გახდა „სხვა“, გახდა
ტყუილი, ტყუილი საკუთარ აზრსა და მნიშ-
ვნელობაზე. ეშმაკს არ შეუქმნია ახალი,
„ბოროტი“ სიტყვები, ისევე როგორც არ
შეუქმნია და არც შეეძლო შექმნა სხვა სამ-
ყარო, ისე როგორც არ შეუქმნია და არც
შეუძლია შექმნას, საერთოდ, არაფერი.
მთელი ტყუილი და მისი ტყუილის მთელი
ძალა იმაშია, რომ მან არსებული სიტყვე-
ბით შექმნა სიტყვები „სხვაზე“, მოახდინა
მათი უზურპაცია და ბოროტების იარაღ-
ად აქცია. აქედან გამომდინარე კი, იგი და
„ამა სოფლად მისი მსახურნი“, ყოველთვის
ნაქურდალ ენაზე ლაპარაკობენ, ანუ ენაზე,
რომელიც ღმერთს მოჰპარეს. ამიტომ მთა-
ვარი სიტყვის შინაარსი კი არაა, არამედ სი-
ტყვის სინმინდე, როგორც მთელი დაცემუ-
ლი კაცობრიობა, დაცემული სიტყვაც ხს-
ნას საჭიროებს. ამიტომ ხსნა საკუთარ თავ-
ში ანდა სხვათა სიტყვებში კი არაა, არამედ
განმნენდასა და ღმერთისათვის სიტყვების
დაბრუნებაში“.



ელგუჯა მარღია

აკაკის როზაი

*...შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..*

როგორც ხმატკბილი ნაკადულის მღერა — რაკრაკი, ახლაც ჩამესმის, ჩამჩურჩულებს ყურში აკაკი... თუკი დავკარგეთ დედა ენა, რწმენა, მამული, — სხვა რა დავგრჩება, სამყაროში, ჩვენ დასაკარგი?!..

პარადოქსის როზაი

რუსი ღვთისმსახურების სრულიად უაქცენტო და შთაბეჭდავი ქართული გალობის მოსმენის შემდეგ...

რუსი მამების დიდი გუნდი გალობს ქართულად, კრემლში პუტინი — ოკუპანტის ფიქრით გართულა... გალობის მიღმა, ეკლიანი მოჩანს მავთული, — საფრთხეც — დამოკლეს მახვილივით ნამომართულა...

დაზუთხულის როზაი

ვერ ვანგრევთ გულში სიძულვილის ზღუდე-ჯებირებს, შური — შავ ღრუბლად ნამოშლილი — გავიზეფირეთ... ცხოვრების არსი — სიყვარული — ვერ შევიცანით, — და გვაგინებდა ის, რაც ოდენ დავიზეპირეთ...

დროშის როზაი

დროშამ მაინც იფრიალოს, ნუ დაუშვებთ დროშას, გამახსენებს ძლიერების, გამარჯვების დრო-ჟამს... ილუზიის ტყვეობაში ბრწყინავს იბერია, — ჩემთვის ანმყო-მომავალი კვლავ ბურუსში მოსჩანს...

პურიანული მარტის როზაი

გიჟი კი არა, მხატვარია თავნება მარტი, სულელიაო, — ვილაცამ თქვა, რითმების ხათრით... ამ დილით მარტმა გაგვაოცა ხრამუნა თოვლით, — ვინც აუგს ამბობს, უნდა ნახოს შედევერი მხატვრის

პოთა რუსთველის როზაი

რომში, ვილა ბორგეზეს ბაღში, ბიუსტის ხილვის შთაბეჭდილებით...

*„რუსთაველ!
ყოვლის ზეციურის მადლით გაბრწყინებულო!“
ალექსანდრე ორბელიანი*

პეტრარკამ, ტასომ გვირგვინები უნდა დაყარონ, ყოვლის უხილავ შემოქმედთან მზენილნაყარო... სამშობლოსავით პატარაა შენი ბიუსტი, — სამყაროსავით უსამანო — შენი სამყარო...

დედაბუნების როზაი

ხელით წიფლის ხე წავაქციე ტყეში, გამხმარი, ერთ დროს ამაყად მოშრიალე და ტანმალალი... დედაბუნების უცვლელია ერთი კანონი, — ხმება ძველი და მის ადგილზე ხარობს ახალი...

სილაშაზის როზაი

*ექვსეუბა ყველა იმ ქალბატონს, ვინც ბურიანში
სიყვარულით ჩარგო ტიტას ბოლქვები,
რომლებმაც უკლებლივ გაიხარეს...*

გაზაფხულის მახარობლად მომევილინე, ჩემო ტიტავ, ამოენთე იავუნდად, ამობრწყინდი მარგალიტად... სამყაროში ყვავილივით ფერმკრთალდება სილაშაზეც, — მაგრამ ცოცხლობს სამუდამოდ — ღვთაებრივი სერაფიტა...

თამასას როზაი

რალა მადლია, გაღებული, მადლი ავანსად, თუკი სიკეთე დაიბრუნე უკან ათასად... ერთხელ თამასაც ღირსებისა თუკი დაუშვი, — მერე ძნელია, რომ აზიდო მალა თამასა...

სუზსარქისის როზაი

სხედან ჟასმინზე... ზამთრის სუსხი აკრთობთ ბელურებს, მე ჩემი თბილი ოთახიდან ზეცას შევყურებ... რითი გაგათბოთ, ბელურებო, მზეც რომ არა ჩანს? — ვერსად ვპოულობ, ცის ტატნობზე, მზის ნაფეხურებს...

მამის როზაი

*„მოხუცი მამა, მოხუცი მამა,
სახლავით ხელში დადის ვენახში“.
გალაკტიონი*

ვზივარ და ვფიქრობ, მეც ჭალარა, მოხუც მამაზე, ვინც ჩემს ცხოვრებას, ბავშვობიდან, კვლავ ალამაზებს... მშობლის ხატება, თბილი მზერა, გულს მიმზიურებს, — როგორც დილის მზე, ჩაბნელებულ ციხე-დარბაზებს...

„შავლეგოს“ როზაი

შურმა და მტრობამ ლამისაა მოგვსრას, ნავლეკოს, სიტყვაც მზიური, ახლა ხშირად
ჭინჭრობს, ნარ-ეკლობს...
მტანჯავს ლალატი განწირული ბრძოლა გარნისის, —
სამშობლო დღესაც შველას ითხოვს,
როგორც „შავლეგო“!..

ქართული ტაძრების როზაი

„გადანახული დროშების“ რემინისცენცია

მისტირის წარსულს ჩემი ბანა, ოჟი, ხახული, — ერის გენია — დაშრეტილი და გულდახრული... აქ უმღეროდნენ წინაპრები რწმენას დროშებით, — არ ჩანს დარაჯი და არც დროშა გადანახული...

პიკარესკული როზაი

სახლი არა, ზოგიერთებს მოუხდება ვოლიერი, ვისაც სულში მხეცი უზის, გვენსტრავს,
როგორც მორიელი...
კვაჭი გნებავთ? — რა გამოლევს...
რიგიც გვიდგას ყვარყვარეთა, —
ტარტიუფიც ცოცხალია, მაგრამ არ ჩანს მოლიერი...

რეკვიემის როზაი

ზვიად გამსახურდიას შესანდობარი

კაცი, რომელსაც არ ჰქონია სხვა რამ მიზანი მამულის გარდა...სამშობლოში გახდა ხიზანი... ვერ შევიცანით... წინამური არის ხიზულაც, — მოდის ახალი ნელინადი... რეკს გლოვის ზარი...

მათას როზაი

*შემძრა ჩემთვის უცნობი მათე კვარაცხელიას
თვითმკვლელობამ, მის მიერ დატოვებულმა
წერილმა... ღრმად მორწმუნე, თვრამეტი წლის ჯან-
ღონით სავსე სტიქაროსანმა ტრაგიკულად
დაასრულა სიცოცხლე...*

რადგან ცხოვრებას ღვთისმოსავი გაექცა მათე, ერსაც და ბერსაც დაფიქრება და განსჯა გვმართებს... თვალტრემლიანი ვერ ვპოულობ კითხვაზე პასუხს, — შეუნდე, ღმერთო!.. მე ამ ლექსით დავუნთებ სანთელს...

მარცველების როზაი

სანამ სამშობლოს გამიძარცვავთ — განიძარცვებით, მღელვარებს ხალხი, ბალახივით ნათიბ-ნაცელი... სიმართლის საცრით გაიცრება ხროვა მძარცველთა, — შიშველ მეფესაც გამოაჩენს ჟამის ფაცერი...

დრო-ჟამის როზაი

ვინც საუბრით გვაბრუნებს, მშვიდად თავზეც გვაზის, საშიშია ქვეყნისთვის ისე, როგორც „ზაზი“... ჰგავს ამღვრეულ მდინარეს, უკეთური დრო-ჟამი, — მღვრიე წყალში ხელაობს კარგად მატრახაზი...

სსოვნის როზაი

სსოვნის ბაღში ცრემლები სცივია ცოდვით მწიფე, სსოვნის ზღვაში ცოდვები ჰგავს უხილავ რიფებს... სსოვნის ტრიალ მინდორზე ნამონოლილს გულაღმა, — სსოვნის ცაში ამიყვანს უსასრულო კიბე...

სიმსუპუპის როზაი

შორს, ჰორიზონტზე, შურდულივით მიჰქრის თოლია, ზღვამ ჩემი ფიქრი მზის ბილიკით გაიყოლია... როცა ბუნებას უბრუნდები მისი ნაწილი, — თურმე ცხოვრებაც რა მსუბუქი, რა იოლია...

მადლიერების როზაი

მადლი — ღვთიური წყალობა და მათი მშვენება, ვინც უანგაროდ ქვაზე დადო, იწყო შენება... მადლიერება სალბუნია მადლის მქნელისთვის, — უფლის უმადურ ადამიანს არც ეშველება...

ჯვიტი თათაშის როზაი

ნახევრად იუმორესკა
მინანერი ლაშა გვასალიას ფესბუქ-სტატუსზე...

კარგი მთქმელი და ბრძენკაცი კი ყოფილა თათაშია, გამგონეც რომ კარგი ჰყავდი, ძმაო, შევბაც ამაშია... სიბრძნეს ბევრი ყურით ისმენს,
შეიმეცნებს გულით ცოტა, —
ბევრისთვისაც ბრძნული სიტყვა მოსაწყენი თათაშია...

ავთანდილოვის როზაი

გვაქვს ბევრი ნაკლი, შური, მტრობა და გულგრილობა, ვიცით ლალატი, სხვის ომებში გმირთა-გმირობა... ვზივარ და ვფიქრობ: განგებამ თუ გადაგვარჩინა, — განგების ნებით, დაგვებედა ავთანდილობაც...

ჩოხის რობაი
ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის შესანდობარი

ჩოლოყაშვილის უბრუნდება სამშობლოს ჩოხა,
ერი ქცეულა კვლავ გასათელ ნაბდად და ნოხად...
გმირი ქაქუცას ვინ მოირგებს ჩოხას, მითხარით, —
როცა მამული მტრის დაკრულზე ცეკვავს და ხოხავს...

მეძაპი ნამსვლელის რობაი
ნახევრად იუმორისტული რემინისცენცია

ო, აბუ ნუვას, ნამდვილ ღვინოს უნდა შერჩევა,
ზედმეტმა თრობამ იცის კაცის გამოლენჩებაც...
შენ კი არა და ქრისტიანიც ნავალ მექაში, —
როცა ღრეობებს საქართველო გადაეჩევა...

პროტანტის ორი რობაი

1.
ვინ გადაარჩენს ამ ქვეყანას, სოფლებს, ქალაქებს,
ძე-შვიტომილებს და ეშმაკის მძევალ-ზვარაკებს...
სად შენირულმა იუნკრებმა ჰპოვეს სავანე, —
დღეს ესკობარი მსხვერპლს და მონას ალაპარაკებს...
2.
სადაც გუგუნით ცას ერწყმოდა ლალი „შავლეგო“,
ნეტავი სულ არ დამენახა და არც გამეგო...
მტერს რომ ნავგლიჯეთ სანუკვარი თავისუფლება, —
თავაშვებულმა ერთიანად უნდა ნავგლეკოს?!

ალვირისა და უნაგირის რობაი

კავკასიელთა სატანჯველი — შენ ხარ გულაგი,
„ძმური ოჯახი“ — ჩვენთვის იყო დათვის ბუნაგი...
ხუთასწლიანი მოვიშორეთ თითქოს უღელი, —
ალვირს გვთავაზობ და მონობის ახალ უნაგირს...

მანვილის რობაი
რემინისცენცია...

სიმართლის მსახურთ, გულუშიშარ ქალებს და კაცებს,
ვინც შურითა და სიძულვილით ჯვარზედაც აცვეს...
გავუმეორებ: ის მახვილი თავად განგმირავს, —
ვერაგ მოკეთეს, მოძმის ზურგში მახვილის ჩამცემს...

საბნის რობაი
ნახევრად იუმორისტული რემინისცენცია
გიორგი ხულორდავას

არ ვიცი, ჩემზე, რას იტყოდა თაჰერი ბაბა,
რობაი სულის მკურნალია, ვითარცა ბალბა...
რადგან საკუთარ თავს ვერასდროს გადავახტები, —
სანამდეც მწვდება, მეც იქამდე ვიფარებ საბანს...

„ჩაკრულოს“ რობაი
ანზორ ერქომაიშვილსა და
ანსამბლ „რუსთავის“ ყველა თაობას...

მაცხოვარივით ტანჯულო და ჯვარზე გაკრულო,
ჩემო ქვეყანავ! — ლაბირინთში გზადაკარგულო...
კაცობრიობას ცას უნათებ კოსმოსისაკენ
და დედამიწის საგალობელს მღერის „ჩაკრულო“ ...

ეპოიზისა და ალტრუიზის რობაი

კაცობრიობა ეპოიზმა დალუპა, ეგომ,
ჩვენც, თანდაყოლილ ცოდვასავით,
რომელიც გვერგო...
გადარჩენის გზა, სხვათა შორის, ალტრუიზია, —
ჭკვიანს არ ესმის და შენ როგორ გაიგებ, შლეგო...

ავადმყოფობის რობაი
რემინისცენცია გოეთეს თემაზე

თუ ჭვრეტ გონების სიმალიდან, ჩანს ტრაგედიაც,
ამ სასჯელს ველარ დაანახებ ბრმას და ბნედიანს...
ცხოვრება მოჰგავს თანდაყოლილ ავადმყოფობას, —
და ეს მსოფლიოც უკეთურთა საგიჟეთია...

დაღლილობის რობაი

თოვლი გრძნობს ჩემი ნაბიჯების ნამდვილ სიმძიმეს,
თვალთ ვკრეფ თოვლზე
მოკამკამე ციცქნა მზის მიძივებს...
დაღლილი ტვინი, ნეტავ იყოს მშვიდი ბუნაგიც, —
მშფოთვარე ფიქრი, დათვივით რომ გამოიძინებს...

ბადარჩენის რობაი

მგონი, ზედმეტად შევანუხე, ისე ხრაშუნობს
ფეხქვეშ თოვლი და გამიტაცებ, ფიქრო — ბავშვურო...
თან მიკვირს, შენში ნრფელი ბავშვი როგორ გადარჩა, —
ცოდვების ქვაბში გამოთუთქულ-გამოხარშულო...

მათხოვრის ორი რობაი

1.
ვხედავ, ვილაცა იქეება, ღამით, ნაგავში,
ფიქრმა შემიპყრო და დამეწყო სულის განგაში...
ეს მათხოვარი იქნებ სულაც მაცხოვარია, —
დაბადებული ჩვენდა მხსნელად ბეთლემს ბაგაში...
2.
ზის უსინათლო, ჩაკეტილი დარდის საკანში,
ხანაც ოცნება აიტაცებს ცაში ფრთაგაშლილს...
ეს მათხოვარი იქნებ სულაც მაცხოვარია, —
შობილი ბრმათა თვალისჩინად ბეთლემს — ბაგაში...

მეხამრიდის რობაი

თუ სინდისი არ განუხებს, არ გექნება აღარც რიდი,
მომხდურ მტერზეც საშიშია, ჩუმჩუმელა,
თანაც ფლიდი...
სალ კლდესავით ურყევია მართალი და ღირსეული, —
ბოროტებას არ აკარებს, როგორც ელვას — მეხამრიდი...

სიმაართლე-უსამართლობის რობაი


ყველამ სიმაართლის რომ დათესოს თითო მარცვალი,
სიკეთე იყოს, როგორც ზოლი, დღეს, ქარსაცავი...
უსამართლობა ვერ ილაღებს ნარ-ეკლიანი, —
რამდენიც უნდა შეგვაყაროს თვალში ნაცარი...

ფრენის რობაი
თბილისი-სტამბოლის მარშრუტისას დაწერილი...

ნისლიან ცაზე ჩვენ მიგვაფრენს „ატლას გლობალი“,
ფრთებგამოსხმული მერანივით... ცის მეგობარი...
ვიგრძენი სულის სიმსუბუქე, ღვთის სიახლოვე, —
ყველაზე მეტად, დედამიწის უღმერთობანი...

გამოღვიძების რობაი

როდესაც სული განიმქვრევა ღრუბელ-ნისლებად,
ნინ ნარუძღვება, მეგზურივით, რწმენა, ღირსება...
შევეცქერი ტყეს და სხვანარი მოჩანს სიცოცხლეც, —
როგორც ბუნების უეცარი გამოღვიძება...



ქახილი

ნელინადია — სიზიფეს ლოდი,
გაზაფხულობით შუა გზაში ვარ
იმ სიმალისკენ,
შენ რომ ჩამოდი უკვე დაბლა
და,
მეც რომ ჩამოვალ,
შენ სიმალიდან მიხმო:
— ამოდი!..

ბრკელი ღამე

1.
თითქოს გვირაბი
ვარ და... თვალნი მიმოსვლა
მატარებლების...
2.
მახსოვს ზღაპარი:
შენ ხარ შეჰერეზადა,
მე — შაჰრიარი.

ცოცხალთათვის ყველაფერი
არაფერია,
მკვდართათვის არაფერი —
ყველაფერი.

ათი მარტი

ავგავებული
ტყემლის ხეთა წინ ვდგავარ —
და ა ბ ე რ ე ბ უ ლ ი ...

დიდი მიტოვება

დიდ მიტოვებას
ვგრძნობ, როდესაც ბავშვები
მშობლებს უხმობენ...

გოგონა ჯინისის ქურთუკი

ის ჩემ ქუჩაზე ამოდის ჩქარა,
მაგრამ ჩემამდე არ მოდის,
არა,
მხოლოდ ნამიერ თუ შემომხედავს
და გზას განაგრძობს ქცეული ქალად.

კარი

როდესაც ჩემი მეუღლე
უკანასკნელ გზაზე
გავაცილეთ
და მე შინ დავბრუნდი, —
კარს ვეამბორე...



კორეელი პოეტები სეულის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე გავიცანი 2018 წლის ოქტომბერში. ეს ფესტივალი ორ წელიწადში ერთხელ სეულის ლიტერატურული თარგმანის ინსტიტუტის ორგანიზებით ეწყობა და მასში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ავტორები მონაწილეობენ.

გასული წლის ფესტივალში 30 ავტორს შორის 16 კორეელი იყო და მათგან უმეტესობა — პოეტი. მათი შემოქმედების გაცნობა ინგლისური თარგმანებით შევძელი. ბუნებრივია, ეს ორიგინალის ამოსაცნობად/წასაკითხად მეორადი გზაა და ალბათ, ბევრი იდუმალემა ჩაიკარგა კიდევ ენებს შორის პოეტური თანხვედრის წერტილების ძებნაში. ზოგადი შთაბეჭდილებით, ამ ავტორებს დეპრესიული და ინფანტილური რეფლექსია აქვთ, სიბნელის მიმართ დაუფარავი მიდრეკილებით კი გზადაგზა აქამდე უცნობ სინათლის პლანეტებსაც პოულობენ.

ამჯერად სამი პოეტის ლექსებს გთავაზობთ. ინგლისურიდან ბნკარედის თარგმანისთვის დიდ მადლობას ვუხდის ნესტან ნიკურაძეს.

მთარგმნელი



ბო-სეონ შიმი

ბო-სეონ შიმი მიიღო ჩოსეონ ილბოს გაზაფხულის ლიტერატურული ჯილდო 1994 წელს ლექსისთვის „ლანდშაფტი“. გამოქვეყნებული აქვს პოეზიის კრებულები — „თხუთმეტი წამი სევდის გარეშე“, „ვილაც არ ჩანს თვალსანიერზე“, „ზრზე არ ვარ დღეს“. 2013 წელს გამოვიდა მისი ესეების კრებული „გამაყვებული ხელოვნება“. ამჟამად ის არის ასოცირებული პროფესორი კიუნგის ციფრული ტექნოლოგიების უნივერსიტეტში.

რა არის წყალობა

მე არ მყავს შვილები. მე არ მყავს შვილები. როგორ იქნებოდა ყველაფერი, შვილი რომ მყავდეს? მყავდეს ერთი, რომელიც შემორბის და ჩემ წინ ჩერდება. როდესაც ვეძახი, ვხედავ პატარა ჩრდილს, ლაქას, რომელიც ჩემგან ჩამოიღობა, გამხმარ ფოთოლს ვაცლი თმებიდან, ვაჩვენებ, ვეუბნები: შეხედე, ამ ფოთოლს მოსწონხარ! ვიცინით. მყავდეს ვინმე, ვინც მგავს და ჩემთან ერთად არ მოკვდება. ეს ნიშნავს, მქონდეს მყარი ფეხები, რომლებიც ერთ შორეულ დღეს ჩემს სიკვდილს გადაახტებიან, მერე დამჯერად გაჩერდებიან და გაუნძრევლად იდგებიან, ვიდრე დავუძახებ. ახლა უბრალოდ ვფიქრობ, როგორია ეს ყველაფერი.

მე არ მყავს შვილები. რა მაქვს მათ ნაცვლად? ჰო, მე მაქვს ლექსები. ჰო, მე მაქვს ლექსები. მე მაქვს ლექსები. ლექსების წერით საკუთარ თავს გადავუსწარი. ვწერდი ლექსებს, რომ არ მოვმკვდარიყავი. ჯარში როცა ვიყავი, მამაჩემის გასვენებაში, გუშინდელ შეხვედრაზე, ეს იყო მტკიცებულება, რომ არ ვტირი და არ ვკვდები. ვარსკვლავთა შუქი ციმციმებს თვალთახედვის ქვემოთ. არავინ იცის, რომ ათასობით, ათიათასობით პოეტის სიკვდილია საჭირო, რათა ერთი ლექსი თანავარსკვლავედად იქცეს. მასტურბაციის შემდეგ ლექსის წერას ვიწყებ. ეს გრძნობა მკვდრეთით აღდგომას გავს.

მე არ მყავს შვილები. რა მაქვს უფრო მეტი მათ ნაცვლად? ჰო.

მე შენ მყავხარ. მე შენ მყავხარ. ერთხელ თმიდან გამხმარი ფოთოლი ამოგაცალე. ერთხელ ახალი სახელი მოგეცი. თუმცა, ახლა დამავინწყდა ეს სახელი. გავნე კიდევ და გარგე კიდევ. ისე გექცეოდი, როგორც მოვექცეოდი ბავშვს, რომ მყავდეს. ჰაერიდან შენი სახე ამოვგლიჯე, როცა ვეღარ დაგინახე. ეს ზედმეტად იოლი იყო. თვალში ჟანგისფერი საათი მედგა, სახე შენთან, სადაც შენ შენს თავს ვერასდროს შეხვდი. რომ არ მოვმკვდარიყავი, სიყვარული გავაკეთე შენთან. ჯერ კიდევ არ იცი, რამდენი წლის ვარ. შენ არ იცი, რა ახლოს ვარ სიკვდილთან. შენ გაქვს ათი მოუხერხებელი თითი. ვერ დათვლი რამდენი წლის ვარ. უფრო სწორედ, სიკვდილს ვერ დათვლი. შენ არ იცი.

რა არის წყალობა? ეს არის ნაზი ზეწოლა ყურზე, ბავშვის ძახილით? ეს არის ქარი, რომელსაც თავბრუ ეხვევა ჩემგან?

მე არ მყავს ბავშვები. ბავშვი იქნებოდა წყალობა? არა, მხოლოდ ფაქტი. მე არ ვიცი. საიდან უნდა ვიცოდე. არასდროს მქონია ეს ფაქტი.

მაგრამ ვიცი ფაქტი, რომ ბევრი ადამიანი არ წერს ლექსებს, რომ ბევრი, ვისაც არ უყვარს, ჩემს მაგივრად კვდება. ისინი კვდებიან ისე, რომ არ იციან ამის შესახებ. ჩემს მაგივრად. როგორც მე არ ვიცი, რომ ვცხოვრობ ჩემი დაუბადებელი შვილის ნაცვლად, არ ვიცი, რომ ჩემი სიყვარული მოწყვნილია ვილაცის ბედნიერების სანაცვლოდ, როგორც არ ვიცი, რომ ჩემი ლექსები ქრებიან ვილაცის მწუხარების ნაცვლად.

რა არის წყალობა? ეს არის მსუბუქი ზეწოლა ყურზე, როცა მეძახი? ეს არის ქარი, რომელსაც მოეწონვარ? შენ ხარ ჩემი წყალობა? მე როგორ უნდა ვიცოდე. მე არ ვიცი. არ ვიცი. არასდროს მყოლიხარ.

ჰე-უკ შინი

დაიბადა ჩუნჩეონში 1974 წელს. პოეზიის გამოქვეყნება 1988 წელს დაიწყო. ის ყოველ დღეს იწვევს თავისი სახლის ფანჯარასთან მდგარი აკაციის ხის ფოტოგადაღებით. რეგულარულად იწერს თავის სიზმრებს. წერს სხვადასხვა თემაზე. გამოქვეყნებული აქვს პოეზიის („კონკრეტული შეთანხმება“, „ანომალიურობა“, „მანდარინის ობის საღამო“) და პროზაული („არაუფროსთათვის განკუთვნილი შეჯიბრებები“, „ერთჯერადი წიგნი“) კრებულები.

აროვნული ბიბლიოთეკის უსასრულო ღამე

ჩემს ადგილას. ჩემს სრულყოფილ ადგილას. შენ კითხულობ მკვდარ წიგნს. ფარდა, რომელსაც ქარი გამოებრავს. მკვდარი სიტყვები გადაშლის ფურცელს, მკვდარი ყვავები. მკვდარი ზღვის ვარსკვლავები. მკვდარი ბრტყელი თევზები. მკვდარი სიმღერების ნარევი გესმის. წრის დახატვა საათის საპირისპირო მიმართულებით. ვაკვირდები შენს მოძრაობებს.



ორი ყური. ათი თითის ფრჩხილი. მხრების არჩვიის და სიცილის ცუდი ჩვევა. შენ აგროვებ მკვდარი ხუმრობების ძვლებს. მკვდარი ფიქრების საფლავს ხელმეორედ თხრი. ლექსიკონს ფურცლავ. თვალები მკვდარი ზღვის ვარსკვლავების ბრაზით გიყურებენ.

რეგულარულად ვრწყავ კაქტუსს, რომელიც მოკვდა ზედმეტი მორწყვისგან. თავს ვიკავებ ტუალეტში შესვლისგან. ხმას ვუხშობ ჩემს ნაბიჯებს. წრის დახატვა. კიდევ უფრო სრულყოფილი წრის დახატვა. მე ვიზუპირებ მკვდარ სიტყვებს. მკვდარი საათი. მკვდარი წყლის ჩიტი. მკვდარი ზღვის ვარსკვლავები. ვგრძნობ ცხედრის სიუხეს. შენ ილიმი. ჩემს ადგილას. ჩემს სრულყოფილ ადგილას.

ქალის ადგილი

შავი ძალის ჭამდა ექსკრემენტს. შავი ძალის ენამ სული ამილოკა. შავი ძალის თვალები მერიდებოდნენ, რომ არ გაეთქვათ სიყვარული. ვიყავი მოწყვნილი და ჭუჭყიანი. დიდი სკანდალი გამოვიდა. ვერ შევძელი გამემხილა საიდუმლო, მეთქვა ის, რაც დაბადებიდან მე და ძალს გვექონდა.



ჰეონ ო

ჰეონ ო დაიბადა 1982 წელს. სწავლობდა სოციოლოგიას და კულტურის ტექნოლოგიას. არის ავტორი სამი პოეტური კრებულისა: „სასტუმრო ტასელის ღორები“, „მომწონს ჩვენი გარემო“, „შენ შენამდე“. მიუხედავად იმისა, რომ დროის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ატარებს წერაში, მიაჩნია, რომ მთელ დროს ამ საქმიანობას უთმობს. მიუხედავად იმისა, რომ ის ცხოვრობს მთლიანად და სისხლსავსედ, ჰგონია, რომ ცოცხალია მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში. ყველაზე ბედნიერია მაშინ, როდესაც ფანტაზიებს მიეცემა.

JAMAIS VU

სად არის კანონი ამისთვის? ადამიანები ცრემლებს ეჭიდებიან.



აი, აქ არის.
ადამიანები ერთფეროვნად პასუხობენ.

მომენტი, როდესაც არარსებული კანონი იქმნება.

სხეული ტყდება, გული ტყდება
მსხვერვის ხმა. მსოფლიო შიგნიდან ინგრევა.

არასდროს დამიტოვებია ეს ადგილი.
არ მგონებია, რომ აქ ჩემი ადგილი იყო.

ყოველთვის უთავბოლო ვიყავი.

ადამიანები ერთმანეთს გარს უვლიან.
ხალხი გარშემორტყმულია.
არავინ არაფერს ამბობს.

ხალხს ჰგონია, რომ დაბნეულია და უხერხულადაა.
ხალხი ხალხია, მაგრამ უხერხულია, რომ ადამიანი იყო.

ადამიანი, რომელმაც აქ იტირა, წინ მიდის,
ებლაუჭება თავის ბილიკს.

სახლი აუცილებლად ახლომახლო უნდა იყოს.
ადამიანები ერთმანეთს
სახლისკენ მიმავალ გზაზე ხვდებიან.
მათ ნაცნობი სუნი აქვთ.
კარგია?
ხანდახან კარგი სიტყვები ცუდი რამისთვის იხმარება.
წილი იხრნება, ლპება, რათა
გარსი შენარჩუნდეს გაუკანრავად.

მთელი ზამთარი მეგონა, რომ ჩემ თავს
შევეურებოდი,
მაგრამ გაზაფხული აღარ მოვიდა.

ადამიანი დგას მიწაზე, რომელიც ჩაძირვისას ფუცდება.
ადამიანი, რომლის ადგილიც აქ არ არის,
აქაა.

სად არის ასეთი ადამიანი?

აქ.
აღბათ აქ.

გადარჩენა

ახლა დროა, რომელიმე ჩვენგანი წაიქცეს.
ჩვენ — არ არის ძალიან მნიშვნელოვანი.
მნიშვნელოვანი მხოლოდ ერთია.

სიცოცხლის მოპირდაპირედ სიკვდილი არ დგას.
ეს ვარდნაა.
რომ თქვა — გადავრჩი, ეს ნიშნავს, რომ ვიღაც დაეცა.

დღეს შენ ჩვენს ჩამოტყდი,
ჩამოგვესიბე.

ემოციები წყალში ხსნადია.
ჩამოსხეპილებიც ტირიან და
დარჩენილებიც.

განრიგი იუნყება:
შენ გაქვს ზუსტად ერთი კვირა მოწყენისათვის.

ამ ინტერვალის დროს იგივე ადამიანებმა, რომლებიც
წინა კვირაში ცოცხალს გგულშემატკივრობდნენ,
შეიძლება მუდმივად გაკრიტიკონ დღეს.
გამსუბუქდები და გამკრთლდები
ზღურბლს მიღმა.

მაშინაც კი, როცა აქ არ იქნები,
ისინი შეგვექმნიან, ვინც დარჩება.
სხვადასხვა გემოვნებით და ხასიათით,
ჩვენს საერთო არაფერი აქვს,
მაგრამ გადარჩება, რადგან
ახალი შტორმი გამოვიარეთ,
ჩვენ ინყენს მხოლოდ ერთი კვირის მანძილზე.


გადის დრო და
ჩვენის სასწორი პატარავდება.
ჩვენ უახლოვდება ერთს.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ
ჩვენ ერთხმად ამბობს:
ახლა დროა, რომელიმე ჩვენგანი დაეცეს.
ეს იშვიათია **ჩვენთვის**, როდესაც
შენ და მე და ყველანი ნერვიულად გადავყლაპავთ
ნერწყვს.

დარჩენილია მხოლოდ ერთი.
მე.

ხედავ, აღარ **ჩვენს**.
უკვე დღეიდან.

თარგმანი ნინო საღლოვალაშვილი



იმად ედ-დინ ნასიმი

იმად ედ-დინ ნასიმის შემოქმედებით ზოგადად თურქულენოვან მხატვრულ აზროვნებაში ახალი საფეხური იწყება. პოეტი აზერბაიჯანულ თურქულზე, არაბულად და სპარსულად წერდა ლექსებს. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მშობლიურ ენაზე შექმნილი ყაზალეებით გაითქვა სახელი. იშვიათად მოიძევება აზერბაიჯანული, რომელმაც მისი ყაზალეებიდან რაღაც მონაკვეთი ზეპირად არ იცის. იგი მიეკუთვნებოდა სუფიზმის ერთ-ერთ განსტოებას — ჰურუფიზმს, რომელიც მისმა მასწავლებელმა ფაზლულა ნაიმიმ ჩამოაყალიბა. ერთ-ერთი ვერსიით დაბადებულია შემახ-იაში 1369 წელს, ხოლო სიკვდილით დასაჯეს ქალაქ ალექ-პოში 1417 წელს. საფლავიც იქვეა დაცული.

მეფავ, გულს შიგან ერთი რამ მიძევს ყოველთვის, მარად. ვგემო შაქარი შენს ბაგეთაგან ბუზის კვალ-დარად. შენს ვარდფერ ლანვთა მონატრებისგან დამიდის ცრემლი, წყალმოდლებით ტბორავს მიდამოს არაქსისგვარად. მეახელ, მოდი, ტკბილ სიცოცხლეზეც უტკბესო ჩემო, რადგან უშენოდ გადის ეს წლები ფუჭად და არად. მაშინ გამიწყრეს აგრემც ყურანი და სახარება, თუკილა გულში შენ არ მეყოლო, არ მყავდე მკმარად. სმენას მომწვდება ყოველდღე დილა-ალიონამდე, ზანზალაკივით მიმონკარუნებს რაყიფთა ხმა რა. არ მიგატოვებს შენ ეს ნასიმი, არა, არასდროს, სანამ ეს სუნთქვა ამ გალიიდან არ გავა კარად.

ნემათულაჰ ქიშვერი

ნემათულაჰ ქიშვერი მე-15 საუკუნის შუახანებში, ირანის აზერბაიჯანში, ქალაქ დელილამგანში (ახლანდელი სალმასი) დაიბადა. 1490 წლამდე თეოტრატკნიანის სულთან იაკუბის მმართველობის ხანაში მის სასახლეში მოღვაწეობდა. სულთნის გარდაცვალების შემდეგ იძულებული გახდა თავრიზიდან შორს — შუა აზიაში თურქულენოვანი სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს პოეტთან — ალიშერ ნავოისთან ეძებნა თავშესაფარი. მისი თანამედროვენიც და ალიშერ ნავოიც ქიშვერის პოეტურ ნიჭს დიდ შეფასებას აძლევდნენ.

სატრფო შესვამს მტერთან ერთად
გულმხურვალედ ყოველდღე,
დავრჩენილვარ უსატრფოდ ცრემლის მღვარედ ყოველდღე.


ეჰ, ნეტავი მომვლენოდა მე სიკვდილი და ვეხსნე,
ვით ვითმინო უმისობა
შორი, მწარე, ყოველდღე.
მკერდი დამინალიკდა და ყაყაჩოებრ მედალა,
უშენობით გული კოკრებრ
სისხლად ვღვარე ყოველდღე.
მხილველნი მაგ ბაკში სახის სირცხვილით და რიდებით,
ციდან მიწად მიძვრებიან
მზე და მთვარე ყოველდღე.
თუკი შენი თმის ნადილში ჩასთვლემს კინი ქიშვერი,
წაფეთდება ვით უბეში
გველმძრომარე ყოველდღე.

ალიალა ვაჰიდი

ალიალა ვაჰიდი — ალიალა მამედყულის ძე ისკან-დაროვი — დაიბადა 1895 წელს ქალაქ ბაქოში. სწავლობდა მედრესეში, მაგრამ ხელმოკლეობის გამო შუა გზაზე მიატოვა და კალიგრაფოსობას მიჰყო ხელი. ლირიკული ლექსების წერა ახალგაზრდობაშივე დაიწყო, შემდეგ ერთხანს სატირულ ლექსებსაც წერდა. თუმცა სახელი მაინც სატრფიალო ყაზალეებით გაითქვა. თავს ფიზულის ტრადიციების გამგრძელებლად მიიჩნევდა. «ვაჰიდი» მისი ფსევდონიმია, არაბულად ნიშნავს «ერთს/ერთადერთს».

შენ თმა ჩამოიშალე და, სავარცხელი ჩემზე იყოს,
ოღონდ ჯაჭვზე მიმანიშნე გიჟი-ხელი, ჩემზე იყოს.
შენ მიჯნურის დამდაგავი, მე დაგვისკენ მიდრეკილი,
შენ სანთელზე მიმითითე და ფრთათხელი ჩემზე იყოს.
თმა და ზილფის სიმრავლისა
მიჯნური გყავს სანატრელო,
შენ ახსენე ის მაჯნუნნი, ამბის მთხველი ჩემზე იყოს.
თვალი ვნების წყაროდ დაგაქვს,
ბაგე ლხენის ბადიაა,
მასვი შენ ეგ ბადია და, სიტყვის მსხლელი ჩემზე იყოს.
შენ სინაზით გაიცინე, მოემატოს სადაფს ფასი,
თვალცრემლივით მარგალიტის
წვიმად მსხმელი ჩემზე იყოს.
ზოგჯერ სახეს, საყვარელო, მოაცილე გველა თმები,
შენ განდი გამოიტანე და, ხელის მხლელი, ჩემზე იყოს.
ვაჰიდ, მესარდაფისათვის სმის და ღვინის დასაგდებად,
რამდენიმე შერცხვენილი ზარხომ-მსმელი ჩემზე იყოს.

თარგმანი მათაი ქაჯუშომვა





ჰამუთალ ბარ იოსეფი

როდესაც აქ ხარ

როცა ახლოს ხარ,
სხეულისგან განვიდარცვები.
როს ერთად ვვახშობთ,

არ მიღირს

განა ღირს, გკითხო:
თუ გიყვარვარ?!
ბედნიერი ხარ?!

მამაკაცი

შენთან ვარ მარად,
ვით ბრმა ასულის
მკერდს მიხატული შავი პეპელა,

ჟოლოს გუჩი

ყოველდღე, როცა მაგ ტკბილ-მჟავე სუნით ვბრუვდები,
ხოლო შენ კი ჩემს მწარე სურნელს დაენაფები,

ვისწავლე, ვით განვისვენო

ახლა მე ვუნცი, ვით განვისვენო,
ვით ავერიდო უაზრო წიდილს.
ვისწავლე, როგორ ვიძინო მშვიდად,

უხმოდ ვპასუხობ ყველა შეძახილს
გავიხანგრძლივე სიამე ნებით.
ავუშვებ ძაღლებს, კარს ვტოვებ ღია,

ებრაელი პოეტი ქალი ჰამუთალ ბარ იოსეფი დაიბადა
1940 წელს. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ,
ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, რუსულ,
უკრაინულ, იაპონურ, არაბულ, შვედურ, ნორვეგიულ, და-

ჩემთვის ძვირფასი და სასურველი
მძიმედ მოინვეს ნისლის ნამქერი:
მიახლოვდება, თვალებს მიმძიმებს
...მერე კი ქრება სუფევლაფერი.

გვიახლოვდება დილის ნათელი,
ცა გარინდულა გაკვირვებული:
ჰგავს უსამანო ოკეანეებს,

და წვიმასავით ძირს ეფინება,
არ ელოდება არვის მადლობას;
როგორც მდიდარი სოვდაგრის შვილი
საიდუმლოდ რომ გასცემს წყალობას.

განფენილია ციდან მინამდის
და ემსგავსება ვეება კარავს.
მასში იმაღვის, რასაც ჩვენ ვხედავთ,
ანდა მარადი სიბნელე ფარავს.

თხა

აღმოსავლეთის ქალაქში,
საყაბოში,
საქონდაქრეზე,
პანანინა თხის თავი იდო.
მოსილი შავი, ხვეული ბენვით.

რა ემართება ლექსს თარგმანისას

ის ზოოპარკის ვეფხვია თითქოს
გამოკეტილი ბნელ გალიაში.
ბრდღვინვა სწადია, ავად გასცქერის
ვოლიერის ვიტრაჟებზე მინებებულ ბავშვთა სახეებს,

იგია სპილო, მწვრთნელის ნებაზე რომელიც როკავს
და დაბაჯბაჯებს მორივით მსხვილი, მძიმე ფეხებით,
უხმოდ ასრულებს საძულველ ნომერს და ელის ჯილდოს —
შაქრის ნატეხს და აპლოდისმენტებს.

თეთრი დათვია, შემართული უკანა ფეხზე.
დამყაყებული გუბურის მკვიდრი;
და გათანგული ზაფხულის ხვატით
თვალს გააყოლებს კანფეტებს და ბანანის ნაჭერს,

კალთაში მიდევს ჩემი სული

კალთაში მიდევს ჩემი სული,
მოჩურჩულე და გარინდული.
არ სურს, რომ პირი დააკაროს
ჩემი ვნებების რძეს, ამჟავებულს.
ჩემი თავიც კალთაში მიდევს
და ხელისგულით ვესალბუნები
თმებმოქვითინეს.

ტური სპექტრით, ინტიმით; ტრადიციული და ნოვატორული
პოეტური ხერხების სინთეზით, არაორდინარული პო-
ეტისკით, ვერსიფიკაციული თავისებურებებით, ფილო-
სოფიური და ფსიქოლოგიური ნიაღვრებით — ისტორი-
აში, პუბლიცისტური სტილი შერწყმულია მრავალფერ-
ოვან და მრავალპლასტიან ხილვებთან და ყველაფერი ეს
საინტერესო მხატვრულ და ენობრივ სამოსელშია მოქ-
ცული. ახასიათებს თავისებური და გამორჩეული პოეტ-
ური მეტყველება, რომელიც არ ემორჩილება გრამატიკის
კანონებსაც კი.

ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.

მთარგმნელი

თელ-ავივში, ზღვის პირად ვადგარ

თელ-ავივში ვარ, ზღვის პირად ვდგავარ,
ვხედავ ბევრ სახეს, უცნობს და უცხოს:
უსახოებსაც, აწყდებიან ვინრო ბოგირებს.
შენ მეუბნები: „გაჯადოებს უცნაურ ძალით
ზღვით განბანილი მათი სხეული
და გაფანტული ქარში სულები
ვინრო ბოგირზე მოქანავენი,

ჩვენ გვიქნება სახელმწიფო

ეს საიდუმლო ნაცნობი ხმით რადიომ გვამცნო,
იმ ხმამ, რომელმაც ყოველივე უწყის ამ ქვეყნის
და დილაობით ფსალმუნთმგალობლობს...
არვინ დაეობდა ამ თემის ირგვლივ.
და ისე წყნარად, როგორც, ალბათ, არსად, არასდროს
უსმენდნენ იმ ხმას, მიყოლებით რომ ჩამოთვალა:
გვცნო — ამერიკამ, გვცნო — რუსეთმა,
გვატემალამაც, კიდევ ქვეყნებმა,
ჩემი მარკების კოლექციაც რომ არ იცნობდა;
...ჩვენ გვექნება სახელმწიფო — ერთხმად გვაუნყეს...
დილაადრიან გამოვედი, რათა ჩემი თვალთ მებოლა,
გვექონდა თუ არა სახელმწიფო...
იქ ჩანდა ეზრა, თოფით ხელში, ბალის კიდესთან;
მე მივახარე, სახელმწიფო რომ გვექონდა უკვე,
არ იქნებოდა აქ საათი კომენდანტისა,
თოფ-იარაღი და ტანკებიც არ იქნებოდა,
სკოლის ჩანთაში ტყვიებს აღარ გადავმალავედით...
— ხომ გესმის, ეზრა, დედაბერი ჩემი სიტყვების?
...ლობესთან ინვა ური განანი, რძისმზიდის მძლოლი
და ებურა შავი სუდარა,
თავთან კი ორი სანთელი ენთო,
თუმცა შაბათი სულაც არ იყო...
მას იეჰუდას გზაზე ესროლეს,
ყველა ამაზე ლაპარაკობდა,
იეჰუდა, იეჰუდა — კედლები ექოდ იმეორებდნენ,
დასახლებბა იქ, არაბულ იუდეაში.
იქ თუ ჩავივი, დაინახავ, გოგონების უმრავლესობას
უცნაური ვარდისფერი კაბები მოსავთ
და მიმოდიან ვარდისფერი, უმნო კაბებით.

გაუგებარი და ბუნდოვანი სახელმწიფო...

თარგმან თამაზ ხარაიშვილმა



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარალობის სახელი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

